რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 28 იანვარი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ inახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 22 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 22

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
ხელის მოწერის პირობები

1 თვით — 4 მან. 50 კ.
2 თვით — 9 მანეთი.
3 თვით — 13 მ. 50 კ.
6 თვით — 27 მანეთი
1 წლით — 50 მანეთი
ცალკე № ყველგან 20 კ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".
ამხ. და თანაგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება აუწყებს პატივცემულ ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს, იანვრის 28-ს, მამა-დავითის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

მგოსნის აკაკი წერეთლის

სულის მოსახსენებლად, მისი გარდაცვალების დღიდან სამი წლის შესრულების გამო. წირვა დაიწყება დილის 10 ნახ. საათზე. წირვას მოჰყვება პანაშვიდი. (1—1)

25 იანვარს, ღამით, ტრაღიკულად გარდაიცვალა პირველი ქართული პოლკის „ვოლნოოპრედელიაიუში"

გიორგი (ჟორჟიკ) ექვთიმეს ძე კვაჭაძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობლები ექვთიმე და თეოდოსია კვაჭაძეები, დები: მარო და თამარ და ძმა ანდრო კვაჭაძეები, სიძენი: ალექსანდრე დალაქიშვილი და არტემ ახობაძე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვა კვირას 28 იანვარს დილის 10 საათ. კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან. (1—1)

მეუღლე ვერიჩკა ლუკას ასული, შვილები: იურა, ლეონიდე, მშობლები; სამსონ ბიჭიას ძე და ნინო იორდანეს ასული, დები: ლისა, კეკელა და ძმა გერმან სამსონის ძე პაიჭაძეები, სიძეები: სამსონ ნიკოს ძე გიორგაძე და გაბრიელ ბესარიონის ძე ბერძენიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ იანვრის 30 დილის 11 საათზედ ქ. თფილისში, წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

სიმონ სამსონის ძის პაიჭაძის

სულის მოსახსენებლათ. (2—1)

თფილისის მილიციონერთა დაზნაკცუტიუნთა კავშირი ულრმესი მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგთ და ნათესავთ ძვირფასი ამხანაგის

არშაკ გრიგორიანის

ვერაგულათ მოკვლას, რომელიც მოხდა 23 იანვარს, ღამით. დასაფლავება მოხდება კვირას, 28 იანვარს, დილის 10 ს. თანდოინის საყდრის გალავანში. (1—1)

სახაზინო თეატრი
დილის წარმოდგენა.

კვირას, 28 იანვარს 1918 წ. ქართულ ოპერეტის დასის მიერ თფილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტა

არშინ-მალ-ალან

ოპერეტა 4 მოქ. გაჯიბეგოვისა, თარგ. გიგოშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არჯევანიძე, მარგველაშვილი, გიგოშვილისა, ფეიქრიშვილი, ბ. ბ. მირველოვი, რევაზიშვილი, ჯანველოვი, ჩაგუნავა.
დასაწყისი დილის 12 ნახ. საათზე.
ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
(3—3) გამგე ალ. ბადრიძე.

კვირას, 28 იანვარს, დილის 10 საათზე სახალხო სახლში დანიშნულია თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს

სხდომა

დღის წესრიგი:
1) მოხსენება ამიერ-კავკასიის სეიმის შესახებ,
2) მოხსენება ნაციონალურ საბჭოებზე. (2—2)

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა.
გორის ქ. № 6 (დიდუბე).

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ
ტელეფონი 14—28.

ამიერ კავ. სოც.-დემოკრ. მუშათა ორგანიზაციებს

დამფუძნებელი კრების გარეკით რუსეთის რევოლიუცია უდიდეს საფრთხეში ჩავარდა. ხალხი დამფუძნებელი კრებისაგან ელოდა მიწისა, ომისა და ზავის და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას. ამ კითხვების კიდევ უფრო გადადება რევოლიუციის დასამარება იქნება. ამიტომაც იყო ამიერ კავკასიისგან დამფუძნებელ კრებაში არჩეულმა დეპუტატებმა გადასწყვიტეს 10 თებერვალს მოიწვიონ სეიმი საკანონმდებლო უფლებით და მას მიანდონ ყველა საჭირბოროტო კითხვების გადაჭრა და მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება.

რომ სეიმი დროზე იქნას მოწვეული, გადასწყდა სამჯერ გადიდებულ იქნას დეპუტატთა რიცხვი, თანახმად დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს მიღებული ხმებისა: სეიმის დეპუტატების დასახელება არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს ენდობა.

ამ მიზნით **3 თებერვალს, შაბათს, 12 საათზე**, თფილისში მოწვეულ იქნება საგანგებო პარტიული საოლქო ყრილობა.

განსახილველი საგნებია:

1) ამიერ კავკასიის სეიმი და მისი დანიშნულება.
2) ზავის საკითხი.
3) სეიმის დამატებითი დეპუტატთა დასახელება.

ყოველი ხუთასი წევრი ირჩევს თითო დელეგატს, ხოლო ის ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგას კომიტეტი, ერთს დელეგატს ირჩევს იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი ხუთასს არ აღწევს.

არჩევნების წეს-რიგს იმუშავებენ ადგილობრივი კომიტეტები. უკეთუ შეუძლებელი შეიქნა მოკლე დროს გამო დელეგატების ამორჩევა, საზოგადო პარტიულ კრებებზე, დელეგატებს ასახელებს კომიტეტი კერძოთ ან რაიონულ კოლექტივებთან ერთად.

საოლქო კომიტეტი.

ახალი ავანტიურა

ბოლშევიკების მორიგი ავანტიურა, როგორც მოსალოდნელი იყო, მათი სამარცხვინო უკუქცევით დამთავრდა. მოგეხსენებათ, ამ ორიოდე დღის წინათ ბოლშევიკებმა განიზრახეს ამიერ კავკასიაში ლენინის მთავრობის დამყარება და ამ მიზნით ერთი ნაბიჯი გადადგეს: სტეფანე შაუმიანი სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო კომისრათ დანიშნეს. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი შაუმიანი ამ თანამდებობაზე ჯერ კიდევ ნოემბერში იყო დანიშნული, მარა „საგანგებო კომისარი" ჰაერში გამოკიდული დარჩა. ჩვენ არ ვიცით, რამ გამოიწვია შაუმიანების ამ დღეებში მოვლინება და „გაკომისარება". უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი ორი თვის განმავლობაში ბოლშევიკთა გავლენა დღითი-დღე ეცემოდა. მათი ჯარი, ეს სახლისაკენ მიმავალი „პარტია" ამიერ კავკასიას თითქმის სავსებით განშორდა. დარჩა ერთად ერთი არზრუმის საციხოვნო პოლკი და უნდა ვიფიქროთ, სწორეთ მისი იმედით მოიწადინეს ბოლშევიკებმა ამიერ კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატიის დამორჩილება და მის სურვილთა ფეხქვეშ გათელვა. ბოლშევიკთა გამოსვლა მათთვის პირდაპირ სამარცხვინოთ დამთავრდა. ამიერ კავკასიის კომისარიატმა გადასწყვიტა ლენინის კომისარის ბ-ნ შაუმიანის და მისი მდივნის ცნობილ ავანტიურისტის კუზნეცოვის გაძევება. და აი „კომისარებიც" მიიმალენ და ამ გზით თვით მოიყვანეს სისრულეში ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილება.

მარა ეს საქმე დამთავრებულათ არ ჩაითვლება. ჩვენ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლშევიკები არ ერიდებიან არავითარ პროვოკაციას, რომ ჩვენში სამოქ. ომი გააჩაღონ და ანარქია გააძლიერონ. მართალია ისინი სუსტი არიან, ადგილობრივი დემოკრატია მათ კარგათ იცნობს და მათ ავანტიურას სასტიკათ გმობს, მარა ბოლშევიკები თავის ავანტიურისტულ ბუნებას არ ღალატობენ და მომავალი ჯარის შემწეობით ლამობენ ჩვენში გადატრიალების მოხდენას და სამოქალაქო ომის გაღვივებას, რაც უეჭველია ეროვნებათა შორის ურთიერთობის გამწვავებით დამთავრდება და რევოლიუციის დასამარების საფუძველი გახდება.

ჩვენ გადაჭრით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატია შესაფერ პასუხს გასცემს ყოველივე ავანტიურისტულ გამოსვლას.

ბოლშევიკები ცდილობენ ცეცხლის გაჩაღებას, მარა დეე იცოდენ მათ მიმდევრებმა, რომ პასუხისგება იმ სისხლის ღვრისა, რაც შესაძლებელია მათ ავანტიურისტულ გამოსვლას მოყვეს, ბოლშევიკთა ხელმძღვანელთ დაეკისრება. კავკასიის დემოკრატია გადაჭრით შეებრძოლება ყოველივე ავანტიურას, რომელიც ეჭვს გარეშეა ისევე სამარცხვინოთ დამთავრდება, როგორც ბ. შაუმიანის გაკომისარება და შემდეგ მისი დაჩქარებით მიმალვა.

კავკასიის რევოლიუციონურმა დემოკრატიამ წესი აუგო ბოლშევიკთა მორიგ ავანტიურას, რომელიც ახალ სისხლის ღვრას და რევოლიუციის დასამარებას გვიქადდა. ის არც შემდეგში მოითმენს სახლში მიმავალი ჯარის დიქტატურას და ამ მხრივ ყოველივე ცდას შესაფერ პასუხს გასცემს.

ეროვნული საბჭოები

ეროვნულ საბჭოების გარშემო ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიმდინარეობა გაჩნდა, და როგორც ერთი, ისე მეორე ამ საბჭოების მოქმედებას წუნობს.

სოციალისტ-ფედერალისტები და საზოგადოთ ჩვენი ნაციონალისტები მეტის-მეტ ზომიერებაში სდებენ ბრალს ეროვნულ საბჭოებს. ისინი მოითხოვენ, რომ ეროვნულმა საბჭოებმა საჩქაროთ იგდონ ხელთ ძალა-უფლება, გამოაცხადონ თავი ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანოთ და განსაზღვრული ეროვნული პოლიტიკა აწარმოვონ. ნაციონალისტებმა კარგათ იციან, რომ ფორმალურათ ეროვნულ საბჭოებს არ შეუძლიათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა, რადგან ჯერჯერობით არსებობს მხოლოდ ერთი ძლევა-მოსილი ორგანო მთელი ამიერ-კავკასიისათვის—ეს არის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების საოლქო ცენტრი და მისი აღმასრულებელი ორგანო—ამიერ-კავკასიის კომისარიატი, ახლო მომავალში კი ამ ცენტრის ადგილს დაიჭერს მომავალი ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმი. ამიტომ ჩვენი ნაციონალისტები აქეზებენ ეროვნულ საბჭოებს, რათა ამ უკანასკნელებმა თავის ნებით იგდონ ხელთ ძალა-უფლება.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ამიერ-კავკასიის დღევანდელ პირობებში ნაციონალისტების მიერ ნაჩვენები გზა ჩვენთვის და მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიისათვის მეტის მეტათ სახიფათო იქნებოდა და ამიტომ წინააღმდეგი ვართ ასეთის გზით ამ კითხვის გადაჭრისა.

აღსანიშნავია და ერთობ დამახასიათებელი მეორე მიმდინარეობა, რომელიც ამ ბოლო დროს ერთობ გაძლიერდა. ამ მიმდინარეობამ ზოგიერთს ჩვენს ამხანაგებშიაც პოვა გამოხმაურება და ამით ორკეცათ მნიშვნელოვანი ხდება ჩვენთვის ეს მიმდინარეობა.

რაშია საქმე?

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ეროვნული საბჭო არავითარ პოლიტიკურ ფუნქციებს არ ეკარება, რაც მან არა ერთხელ განაცხადა, მიუხედავათ იმისა, რომ ეროვნულ საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობასაც ჩვენი ამხანაგები წარმოადგენენ, მაინც მოჰკრავთ აქა-იქ ყურს: ეროვნული საბჭოები უნდა დავშალოთო.

ჩვენ არ გვიკვირს, როცა ეროვნულ საბჭოების წინააღმდეგ ბოლშევიკები გამოდიან. მათ ეს სადემაგოგიოთ სჭირიათ: სხვაფრივ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ბოლშევიკების პოზიცია, იმ ბოლშევიკების, რომელნიც თავის დროზე სასტიკათ გმობდენ კერენსკის, რატომ უკრაინის ავტონომიის წინააღმდეგ მიდიხარო და შემდეგ იმავ უკრაინას ომი გამოუცხადეს, რომელნიც ერთის მხრით დეკრეტს აქვეყნებენ სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ და მეორე მხრით იმავ სომხების ეროვნულ საბჭოს სდევნიან.

ჩვენ არც ის გვაკვირვებს, რომ ბოლშევიკების პროპაგანდას დიდი გასავალი აქვს იმ ჰეშმარიტ რუსებში, რომელნიც სულ ცოტა ხნის უკან ქართულ ენას ძაღლურ ენას ეძახდენ და იმავე დროს ეს ვაჟბატონები ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს განაგებდენ.

ჩვენ არც ის გვიკვირს, რომ ბოლშევიკებს ამ საკითხში რამდენიმეთ მხარს უმშვენებენ სოციალისტ-რევოლიუციონერები და სომხის დაშნაკელები: სოციალისტ-რევოლიუციონერები ჩვენში ფაქტიურათ მიმავალ ჯარის პარტიაა, ამ ჯარის წასვლასთან ერთად ნიადაგი ესპობა რუსის ხალხის ხორცმეტს და აქ პარაზიტათ გადაქცეულს მოხელეებს და რა გასაკვირველია, რომ ამ გარემოებას ერთგვარი დაღი დაესვა სოციალისტ-რევოლიუციონერების სულიერ განწყობილებაზე. ტყუილათ კი არ თქვა მარქსმა **მდგომარეობა ქმნის შეგნებასო** და ჩვენ სულაც არ ვამბობთ იმას, ვითომ მსგავს შემთხვევაში ქართველებიც ასე არ მოიქცეოდენ.

არც ზომიერ დაშნაკელებისაგან უნდა გაგვიკვირდეს დღეს მათი, სიტყვიერათ მაინც, ეროვნულ საბჭოების წინააღმდეგ გალაშქრება. ოსმალეთის რეჟიმში აღიზარდენ ისინი, ჩვენ გვახსოვს მათი პოლიტიკა ვორონცოვ-დაშკოვის დროს და ამიტომ რა ვიცით, რომელი დიპლომატიური მოსაზრებით ერთს ამბობენ დაშნაკელები, ხოლო საქმით კი სულ სხვას აკეთებენ.

ვიმეორებთ, ჩვენ არავინ არ გვაკვირვებს გარდა ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგებისა: რას ხედვენ ისინი საწინააღმდეგოს ეროვნულ საბჭოში, რა სახითაც ის დღეს არსებობს და მუშაობს.

ეროვნულ საბჭოებით უკმაყოფილო ამხანაგებმა პირდაპირ უნდა დასვან საკითხი რა არ მოსწონთ მათ: ეროვნულ საბჭოების არსებობა საზოგადოთ, თუ ამ საბჭოების მიერ გადადგმული ესა თუ ის ნაბიჯი. დროა უთავბოლო საყვედურებს ბოლო მოეღოს და საკითხი სერიოზულათ იქნას დასმული.

რედაქცია თავის მხრით ეცდება ერთხელ კიდევ გამოსთქვას თავისი შეხედულება ეროვნულ საკითხზე და მოწინააღმდეგეთაც საშუალებას მისცემს თავიანთი აზრი გამოსთქვან ამ კითხვის შესახებ და მით ყოველგვარი გაუგებრობა საბოლოვოთ მოისპოს.

ბოლშ. დეკრეტი და „დამოუკიდებელი სომხეთი"

ბოლშევიკების მთავრობამ ერთი დეკრეტი სომხებსაც უძღვნა და სომხეთის დამოუკიდებლობა აღუთქვა. მაგრამ აღნიშნულ დეკრეტს, როგორც სხვა ბოლშევიკურ დეკრეტს, არ ატყვია მოფიქრების ნიშანი, ის სახელდახელოთ, სადემაგოგოთ არის შეხანხლილი. ეტყობა, ბოლშევიკებს გადაუწყვეტიათ როგორმე სომხის პარტიის—დაშნაკცუთიუნის--გულის მონადირება.

რა მოხდა, რატომ სომხები აირჩიეს ბოლშევიკებმა თავის სიყვარულის საგნათ, როცა ყველა სხვა ერებს ასე თავგამოდებით ებრძვიან? იქნებ სომხებისგანაც საბჭოების მთავრობის მოწყობას ითხოვენ?

არა... ამ ახირებულ დეკრეტის მე-4-ე მუხლი თხოულობს მხოლოდ „ოსმალეთის სომხეთის" დროებით მმართველობის შედგენას დემოკრატიულ საფუძველზე არჩეულ **სომხის ხალხის დეპუტატთა საბჭოს სახით.**

გაკვირვებული მკითხველი ალბათ შეეკითხება ბოლშევიკებს: როგორ, განა თქვენ კმაყოფილდებით დემოკრატიულათ არჩეულ სომხის ხალხის დეპუტატთა საბჭოთი? ეს ხომ იგივეა, რაც საყოველთაოთ არჩეული დამფუძნებელი კრება, რომელიც თქვენ გარეკეთ? რას ნიშნავს ეს ორმაგი ბუჰგალტერია? მკითხველი ამაოთ ელის პასუხს ბოლშევიკებისგან. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ „სომხეთის" დამოუკიდებლობისთვის ზრუნვა ენდობა ბ. სტეფანე შაუმიანს, რომელიც კავკასიის მთავრობათ აცხადებს თავს და იმავე დროს სადღაც იმალება (იხილე გუშინდელ ახალ ამბავში), ჩვენთვის ნათელი გახდება ბოლშევიკების ბავშური დემაგოგია და მოკლეფეხებიანი ტყუილი.

მაგრამ დაუშვათ ერთი წუთით, რომ ბ. შაუმიანს რეალური ძალაც აღმოაჩნდა დეკრეტის სისრულეში მოსაყვანათ. რა გამოვა მერე აქედან?

ბოლშევიკები დეკრეტით მხარს უჭერენ „რუსეთის მიერ დაჭერილ ოსმალეთის სომხეთს" და მოითხოვენ დაუყონებლივ სომხურ სახალხო „მილიციის შედგენას". იმავე დროს დეკრეტი მოითხოვს დაუყონებლივ ჯარების გამოყვანას ოსმალეთის სომხეთიდან. ესმით თუ არა ბოლშევიკებს, რომ სომხურ სახალხო მილიციის შედგენა იმ პროვინციებში, სადაც სომხებთან ერთად არეულათ ცხოვრობენ ოსმალები, განსაკუთრებით ველური ქურთები, ამ ორ ერთა შორის ხოცვა-ჟლეტას გამოიწვევს, მით უმეტეს, რომ ბოლშევიკები ჯარის დაუყონებლივ გამოყვანას მოითხოვენ.

ჩვენ არ გამოვუდგებით დეკრეტის სხვა მხარეებს, რადგან ნათქვამიდანაც ცხადათ სჩანს მისი გარედან მონაბერი ხასიათი.

და თუ მოვიგონებთ, რომ ეს დეკრეტი თან ჩამოიტანა ბ. შაუმიანმა და თავის კომისრობის გამოცხადებასთან ერთად გამოაქვეყნა, ჩვენთვის აშკარა გახდება მისი პროვოკაციული ხასიათი. ბ. შაუმიანს სურს სომხები და თათრები ერთმანეთს წაჰკიდოს და შემდეგ ამღვრეულ წყალში ბოლშევიკური თევზები იჭიროს.

მაგრამ არა გვგონია ამით ფონს გავიდენ ბოლშევიკები. სომხის შეგნებული დემოკრატია მათ ძველი რომაელების სიტყვებით გაისტუმრებს: დანაელების მოტანილი ძღვენიც საშიშიაო.

პრესა

ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი" მსხვილი ასოებით სწერს:

„გუშინ დილით, განკარგულებისამებრ კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ობორონცულ საბჭოების საოლქო ცენტრის პრეზიდიუმისა, რომლის თავმჯდომარეთაც არის ნ. ჟორდანია, მერვე ნაწილის კომისარი კარაბეკოვი რამდენიმე მილიციონერის თანხლებით მივიდა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ კავკასიის საგანგებო კომისრათ დანიშნულ ამხ. ს. გ. შაუმიანის დასაჭერათ. მაგრამ ეს ახალი ბოროტ-მოქმედება ამიერ კავკასიის ობორონცებისა ვერ განხორციელდა: **ამხ. შაუმიანი სახლში არ დაუხვდათ.** ამიერ კავკასიის ობორონცები უარს ამბობდენ კონტრ-რევოლიუციონერ კალედინისა და კორნილოვისთვის ომის გამოცხადებაზე ვითომ და სამოქალაქო ომის თავიდან ასაშორებლათ. მაგრამ ისინი უსინდისოთ უცხადებენ ომს მუშათა და გლეხთა მთავრობას მისი ოფიციალურ წარმომადგენლის დაჭერის განზრახვით, რითაც ისინი სამოქალაქო ომის პროვოკაციას ეწევიან".

ჯერ ერთი ფაქტიური შენიშვნაა საჭირო: შაუმიანის დაჭერა კი არ უნდოდათ, მისთვის მხოლოდ უნდა გამოეცხადებიათ, რომ თუ ოცდაოთხ საათში თავის ნებით არ წავიდოდა, დაიჭერდენ. ამიერ კავკასიის მთავრობა ასე ზრდილობით მოექცა ბ. შაუმიანს, რისთვისაც გვგონია, ის გულში მადლობელი იქნება, რომ პირდაპირ არა სასიამოვნო ადგილზე არ ამოაყოფიეს თავი. „კავკაზსკი რაბოჩი"—კი ბოროტ მოქმედებას ეძახის ადგილობრივ მთავრობის ზომას: გამოდის, რომ პეტროგრადიდან ბიუროკრატიულ წესით დანიშნული შაუმიანი თუ თავზე არ დაისვი—ბოროტ-მომქმედი ხარ! ბოლშევიკებს ალბათ ეგონათ, რომ კავკასიაში დასკუპებაც ისე ადვილი საქმე იყო, როგორც „ბრძოლა"-ში და „კავკაზსკი რაბოჩში" ტყუილების წერა. მაგალითად, ბოლშევიკები არ მოერიდენ აშკარა ტყუილის დაწერას: სახელოსნოში მუშებმა რეზოლიუცია მიიღეს, რომლითაც ლენინის მთავრობას ნდობას უცხადებენო!

სამოქალაქო ომი

კავკავიდან მოსული ოფიციალური ცნობის თანახმად 25 იანვარს მდგომარეობა ამ გვარი იყო.

ვორონეჟის მიმართულებით ბოლშევიკები პასივობას იჩენენ.

სად. გლუბოკაიას ჩრდილოეთით ცარიცინ-ლიხის რაიონში ბოლშევიკებმა რამდენიმე პატარა სადგური ჩაიგდეს ხელში, სადაც სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტები შეადგინეს.

ნიჟნე-ჩირსკაიას სტანიცაში მდგომარეობა სასაშიშროა.

უსტ-მედვედიცის სტანიცაში მთავრობის დაწესებულებები ბოლშევიკების ხელშია.

დებალცევოს რაიონში ბოლშევიკები

საგრძნობ ძალებს აგროვებენ, რომ სად. ზვერევოზე მოახდინონ თავდასხმა.

დონის როსტოვში და ბატაისკში მდგომარეობა უცვლელია.

ტაგანროგის მიმართულებით ამაოდ ცდილობდენ ბოლშევიკები ყაზახების მიერ გაფუჭებულ რკინის გზის შეკეთებას, ეს მათ ვერ შესძლეს.

ტაგანროგიდან ყაზახთა ჯარები გავიდენ. ქალაქში ძალა-უფლება სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის ხელშია.

მოკლულ ნემეც ოფიცერს, რომელიც სამხედრო ტყვეებს მეთაურობდა ბრძოლაში სად. ზვერევოს რაიონში ჯიბეში აღმოაჩნდა რუსეთის რკინის გზების ისეთი რუკა, რომლის მთავარ რაიონათ ითვლება კიევი—მოსკოვი—როსტოვი. ამ სქემაში მას განსაკუთრებულის გულდასმით აქვს შემუშავებული ის რაიონები, რომლებიც აკრავენ სამხრეთ-აღმოსავლეთის ფედერაციას. დიდი ყურადღებაა მიქცეული ამ სქემაში ვორონეჟ-როსტოვ-ლოზოვაია და ზვერევოს შტოს.

სად. ზვერევოს რაიონებში დახოცილთ აღმოაჩნდათ ავსტრიის ჯარისკაცთა ფარაჯები. იმის დასამტკიცებელი საბუთებიც არის, რომ ტყვეები გადაცმული არიან რუსის ჯარისკაცთა ტანისამოსში.

ყუბანის ოლქში თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სად. აპინსკაიასთან ბრძოლა იყო ბოლშევიკებსა და ყაზახებს შორის. ყაზახებმა აქ ბოლშევიკები დაამარცხეს. წაართვეს 4 ზარბაზანი, ტყვიები და ყუმბარები.

როსტოვში სიწყნარეა, ყველაფერი წინანდებურათაა.

როსტოვიდან თფილისში ელაპარაკა 26 იანვარს პირდაპირი მავთულით სამხრეთ აღმოსავლეთის მთავრობის წარმომადგენელი სკრინსკი ამიერ-კავკასიის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარის ამხანაგს კანტემიროვს, რომელმაც შემდეგი ოფიციალური ცნობები აუწყა:

კამენსკაიას სტანიციდან გუშინ სად. გლუბოკაიაში მივიდა რაზმი, რომელმაც ააფეთქა რკინის გზა გლუბოკაიადან სამი ვერსის მოშორებით სამხრეთით. ზარბაზნებიდან სროლით ეს რაზმი დაბრუნდა კამენსკაიაში, წაიყვანა თან გლუბოკაიადან ერთი მატარებელი „ფურაჟით“ და სურსათით დატვირთული.

ლიხაია-რუდოკოვოს ხაზზე ბოლშევიკები პასივობას იჩენენ.

გუშინ ყაზახთა რაზმი იერიშით მივიდა სად. პროვალიეზე და აიღო ის, მაგრამ ეს ადგილი ვერ შეირჩინეს ყაზახებმა, ვინაიდან მტერი მათზე ძლიერის ძალებით მივიდა და ყაზახთა ძალებს დაახევია ჯერ გუკოვისა და შემდეგ ზვერევოსაკენ. ამ სახით, ბოლშევიკებმა მთავარი ძალები მიმართეს ზვერევოსაკენ, სადაც მდგომარეობა სერიოზულია. როსტოვში სიწყნარეა. ტაგანროგის მიმართულებით მოხალისეთა რაზმი გამორდა ამ ქალაქს და დაანგრია რკინის გზის ლიანდაგი რიაჟინის და მატვეევ-კურგანის სადგურებს შორის.

შეუმოწმებელი ცნობების თანახმად ნოვოროსიისკში 40 ათასი ჯარისკაცი-თავმოყრილი. ბოლშევიკების მხარეზე 10 ათასი ჯარისკაცია. ზარბაზანი ქალაქში 50-მდეა. ბოლშევიკებს აქვთ 8 ზარბაზანი და 10 ტყვიისმფრქვეველი ჯარის დანარჩენი ნაწილები შავი ზღვა—ყუბაანის რკინის გზით სახლში მიემგზავრებიან.

ეკატერინოდარში მოვიდა 5 ეშელონი ქალაქის დასაცავად. მაიკოპში ძალა-უფლება ბოლშევიკების ხელშია. გარნიზონის უფროსად აირჩიეს ხორუნჟი შევცი. ეწყობა წითელი გვარდია. ყაზახთა ნაწილები ნეიტრალიტეტს იცავენ.

სტავროპოლიდან კავკავში წავიდა, როგორც აგენტურის ცნობები გვეუბნება, ეშელონი იდეურ ბოლშევიკებისა, რომელმაც სად. ტიხორეცკაიაზე იარაღი აჰყარა 2 ეშელონს 2000 კაცისაგან შემდგარს, რომელთაც ისინი უწოდებენ „ჟულიკ“ ბოლშევიკებს. ამ „ჟულიკ“ ეშელონებს აზრათ ჰქონიათ იდეური ბოლშევიკების თქმით რომანოვსკში არსებული სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის გარეკა.

სად. კავკასკაიაზე მოეწყო რკინის გზის მოსამსახურეთაგან რაზმი, რომელშიაც 800 კაცი შედის. ისინი ბოლშევიკების წინაამდეგნი არიან და მოითხოვენ ნეიტრალიტეტის დაცვას.

ეკატერინოდარში ქარხნებში მუშაობა არ შეწყვეტილა. განაპირა უბნების მცხოვრებნი შეშინებულნი არიან ეკატერინოდარის ახლოს მომხდარი დამარცხებით.

არმავირიდან ცნობაა, რომ ბოლშევიკები სიკვდილით დაემუქრენ ტელეგრაფის მოსამსახურეებს. ამიტომ მოსამსახურენი იძულებულნი იყვენ მუშაობა განეგრძოთ. სხვა ადგილებში თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა.

მთიულთა ჯარების ნაწილები მთიელთა მთავრობას ემორჩილება. მათ შორის არავითარ განხეთქილებას ადგილი არ ჰქონია.

24 იანვრის თარიღით იგივე სკრინსკი შემდეგს იტყობინებოდა: ზვერევოს რაიონს საშიშროება მოელის დებალცეო-რუდაკოვის მხრიდან.

ლიხოიდან ცარიცინამდე რკინის გზა აყრილია. სად. გლუბოკაია დონის ყაზახთა ჯარებმა დაიკავეს. სადგურ კამენსკაიაში ყაზახთა მთავრობამ სამხედრო წესები შემოიღო, ვინაიდან აქ მტერი ახლოს სდგას. როსტოვში გაფიცვა თავდება. ბატაისკში მდგომარეობა საშიშარია, ვინაიდან სად. ტიხორეცკაიადან ბოლშევიკები იქ გზავნიან ზარბაზნებს და ჯარებს. ტაგანროგში ბრძოლა გრძელდება. ყაზახთა ჯარების მიერ ქალაქი გარშემორტყმულია და ფიქრობენ, რომ მტერი დანებდება.

ტაგანროგის მიმართულებით ბოლშევიკების ჯარები ავიწროებენ მატვეევ-კურგანთან მყოფ პოლკოვნიკ კუპეტევის რაზმს.

ეკატერინოდარის ახლოს სად. ეპენკა ყაზახთა რაზმმა აიღო. ბოლშევიკები თავ-ზარ დაცემული გაიქცენ. ყაზახებმა წაიღეს ტყვიისმფრქვეველები, საარტილერიო ყუმბარები და ტყვიები, რომლებიც უკვე აამუშავეს ბოლშევიკების წინაამდეგ ყაზახებმა. ყაზახებს მოუკლეს უფროსი გალაევი. 22 იანვარს საღამოს 10 საათზე გამოირკვა, რომ წითელ-რაზმელები, რომლებიც მოგროვილი იყვენ, როგორც ფრონტიდან ისე ზურგიდან, გაიქცენ. დასტოვეს 4 ზარბაზანი, 9 ტყვიისმფრქვეველი, 200 თოფი, 15 ცხენი და 70 ტყვე.

საზავო მოლაპარაკება

9 იანვარს ტროცკისა და ავსტრო-გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე გრაფ მირბახს მოლაპარაკება ჰქონდათ. მირბახმა განაცხადა, რომ, რადგან კონფერენციაზე აღძრული არც ერთი კითხვა დღემდე არ გადაწყდა, ის იძულებულია დასტოვოს პეტროგრადი. ტროცკიმ სთხოვა დარჩენილიყო. მან განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ბრესტ-ლიტოვსკში მიიღო ცნობა პეტროგრადის კონფერენციის უთანხმოების შესახებ. ბრესტ-ლიტოვსკში ტროცკის ლაპარაკი ჰქონდა კიულმანთან და გრ. ჩერნინთან — როგორმე მოეწესრიგებიათ პეტროგრადის კონფერენციაზე აღძრული საკითხები. საერთო გარდაწყვეტილებით ყველა ეს საკითხები ბრესტ-ლიტოვსკში უნდა გადაეტანათ გასარჩევათ. იქვე უნდა გარდაეწყვიტათ თეთრი და ჩრდილოეთის ზღვის საკითხები. და რადგან ეს საკითხები ჯერ არ გარდაწყვეტილა, ავსტრო-გერმანიის დელეგაციის წარმომადგენლებმა პეტროგრადი არ უნდა დასტოვონო,—განუცხადა ტროცკიმ. ტროცკიმ შეატყობინა გრ. მირბახს აგრეთვე, რომ რუსეთსა და ცენტრალურ სახელმწიფოებს შორის სეპარატიული ზავი გათავებული საქმეაო.

ამ განცხადების გამო დელეგაციის წევრები დასთანხმდენ დარჩენ პეტროგრადში, სანამ ბრესტ-ლიტოვსკიდან ახალ ინსტრუქციას მიიღებდენ.

„გებენი“ და „ბრესლაუ“

ამას წინათ ცნობა გვქონდა მოთავსებული დარდანელის სრუტესთან სამხედრო გემების „გებენისა“ და „ბრესლაუს“ დაღუპვის შესახებ. ამის შესახებ ბრიტანეთის სამხედრო აგენტმა თფილისში შემდეგი ოფიციალური ცნობა მიიღო: „გებენი“ და „ბრესლაუ“ დარდანელიდან ხმელთა შუა ზღვაში გავიდენ 7 იანვარს. „გებენი“ ჩაიძირა, „ბრესლაუ“ გაირიყა, რომელსაც აეროპლანებიდან ყუმბარები დააყარეს ინგლისელებმა და დიდათ დააზიანეს, მაგრამ შემდეგ „ბრესლაუმ“ მაინც შესძლო სტამბოლში მისვლა.

ალბათ ამ ნიადაგზე გავრცელდა ხმები დარდანელის აღების შესახებ.

ჩრდილო კავკასიის ამბები

მიღებულ ცნობებით დაღესტანმა სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. განზრახულია მოიწვიონ თერგის ოლქის ყრილობა.

კავკავში მთელი ძალა-უფლება გარნიზონის უფროს ბელიკოვის ხელშია, ქალაქის გამგეობამ თავდაცვის და წესიერების დამყარების საქმეში განუსაზღვრელი უფლება მისცა მას.

უკანასკნელ ამბების გამო კავკავიდან გავიდენ ყველა ბოლშევიკები.

მუშათა ცენტრი აღარ მოქმედობს.

შესდგა ინტერპარტიული საბჭო, სადაც ბოლშევიკებამდე ყველა სოციალისტები შედიან.

ყაზახთა მთავრობამ გადასწყვიტა გავიდეს თერგ-დაღესტნის მთავრობიდან, რადგან მთავრობა შესდგა ისე, რომ იქ დემოკრატიული ორგანიზაციები არ შედიან.

ყაზახებმა და გლეხებმა შეადგინეს სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ბოლშევიკებთან.

ცნობებია, რომ მთიულეთის მთავრობის წევრნი: კაპლანოვი, დულაბაჩიევი და ჩერმიევი სოფელ ბაზირკინოში არიან და საომრათ მოუწოდებენ ინგუშებს ყაზახების წინაამდეგ.

ქართული უნივერსიტეტის გახსნა

26 იანვარი შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ხალხის კულტურულ დღესასწაულათ. 26 იანვარს თფილისში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი: უნივერსიტეტის გახსნას აუარებელი ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ბევრი გარეთ დარჩა, ქართული გიმნაზიის ვრცელ დარბაზმაც ვერ დაიტია ყველანი. დაჟინებით მოითხოვდენ უნივერსიტეტის გახსნა მომხდარიყო გარეთ, გიმნაზიის ეზოში, რომ ყველას მისცემოდა საშუალება წარმოთქმული სიტყვები მოესმინა. დაესწრო პროფესორთა შემადგენლობა და სხვადასხვა ორგანიცაზიების წარმომადგენლები. უნივერსიტეტი გახსნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დავალებით აკაკი ჩხენკელმა. მოქალაქენო! —სთქვა მან—საქართველოს ეროვნულ საბჭოს მონდობილობით ბედნიერება მაქვს გავხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი (ტაში). მე ვამბობ პირველითქო, აქედან ცხადია, დღევანდელი დღე დიდმნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. დღემდე ჩვენ არ გვქონია არც ერთი მაღალი სასწავლებელი. მე არ შევეხები შორეულ წარსულს, იმ წარსულს, რომელიც განიყოფება რუსეთის ფარგლებში ჩვენი ცხოვრების ხანიდან. მაშინ ჩვენ გვქონდა დროს შესაფერი უმაღლესი სასწავლებლებიც.

ერს, რომელსაც არა აქვს თავისი სამეცნიერო ტაძარი, არ შეუძლია სთქვას, რომ იგი სრულ-ასაკოვანია. როცა მე მესმოდა საზღვარ-გარეთ საქართველოს შესახებ საგმირო ამბები, თუ რა მონაწილეობას იღებდა იგი განმათავისუფლებელ მოძრაობაში,—მაშინ მეკითხებოდენ რამდენი უნივერსიტეტი, პოლიტეხნიკუმი და სხვა უმაღლესი სასწავლებელია საქართველოშიო. და მე ამ შეკითხვაზე მხოლოდ გაწითლებით ვუპასუხებდი: ჩვენ არ შეგვეძლო მიგვეღო განათლება სამშობლო ენაზე. რა ერია ის ერი, რომელსაც არა აქვს საშუალება ისარგებლოს მეცნიერების ნაყოფით სამშობლო ენაზე. ჩვენ რუსეთის საზღვრებში ცხოვრებამ მოგვიტანა კულტურულ-ეკონომიური და პოლიტიკური თვითცნობიერება, ეს უნდა მიეწეროს როგორც რუსეთის საზღვრებში ცხოვრებას, ისე თვით ქართველ ერის უნარს, რომელმაც აუღო ალღო ახალ ცხოვრებას, ახალ ხანას, საზოგადოებრივ პოლიტიკურ ასპარეზზე შედგა ფეხი და ცნობილ ჰყო თავის თავი როგორც შინ, ისე გარეშე უფრო ფართოთ, ვინემ ეს წარსულში იყო. მაშინ იტყოდენ: ეს და ეს მეფე; ეს და ეს სარდალიო; არ იყო ისეთი ხანა, რომ ეთქვათ—ქართველი ერი წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზმს, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს უცხოელებშიო. თუ რატომ არ გვქონდა მაღალი სასწავლებელი, ამის მიზეზი ყველამ იცის. ჩვენ სხვებთან ერთად ვიყავით ჩაგრული ერი, მოკლებული ყოველგვარ უფლებას. ახლა მოგვეცა საშუალება გავხსნათ ქართული უნივერსიტეტი. ეს მიეწერება დიდ მოძრაობას, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი ერი, მისი დემოკრატია. მაშასადამე, როცა ქართველი დემოკრატია იბრძოდა სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებისათვის, ამავე დროს იგი იბრძოდა ერის უფლებისათვის. დემოკრატიის ღვაწლმა მოგვივლინა დღევანდელი დღესასწაული. თქვენ იცით ქართველი ხალხის დაუშრეტელი წყურვილი ცოდნის შეძენისადმი. ჩვენი სასწავლებლები, რომლებშიაც უფრო გამარუსებელი და ბიუროკრატიული რეჟიმი იყო გამეფებული, ვერ იტევდენ ჩვენს მოსწავლეებს. სტატისტიკის მიხედვით ჩვენში ათჯერ მეტი სასწავლებელი იყო საჭირო, რომ მოთხოვნილება დაგვეკმაყოფილებია. თუ რამდენათ ძლიერია ჩვენში სწავლა-განათლების წყურვილი, ეს სჩანს გურიის მაგალითიდან. გურიაში დღეს იმდენი სასწავლებელია, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების შემდეგაც იქ არ იქნება საჭირო ახალი სასწავლებლის გახსნა. და თუ ეს სკოლები ეროვნული გახდა, მათი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადი იქნება, რატომ პირველათ იხსნება მაღალი სასწავლებელი, როცა ჯერ კიდევ არ გვაქვს დაბალი და საშუალო ეროვნული სასწავლებლები? ასეთ ხანაში სწორეთ საჭიროა ქართული უნივერსიტეტი, რომლიდანაც უნდა გამოვიდეს ის ხალხი, რომელიც გაუძღვება დაბალ და საშუალო ეროვნულ სკოლებს. საჭიროა ცოდნა, მეთოდი, რომ ახალგაზრდობას გრძნობა გაუფაქიზოთ, ხასიათი განვუმტკიცოთ. ცხადია, ჩვენ დიდი სიხარულით უნდა მივეგებოთ ამ საქმის დაწყებას, ქარ. უნივერსიტეტის გახსნას. ჩვენ გვეჭირვება დიდი ცოდნა-განათლება. ამ მხრით არ ვართ მაინცდამაინც დაწინაურებული. ერთა ისტორიაში არის მაგალითები, როცა ერი იჩენს უნარს ერთ რომელიმე დარგში, ვთქვათ პოლიტიკაში, პუბლიცისტიკაში. მაშინ მეცნიერებისათვის მას აღარ რჩება ძალა და ღონე. ჩვენ სწავლა-განათლების მხრით ბევრ ერს ჩამოვრჩით უკან, ისეთ ერებსაც, რომლებიც პოლიტიკურათ ჩვენზე დაბლა დგანან. ჩვენ გვესაჭიროება შესწავლა წარსულის, შეგნება აწმყოსი, გათვალისწინება მომავალისა. ჩვენ შეიძლება კარგათ ვიცოდეთ რომელიმე ბრაზილიის წარსული, ხოლო ბევრი არ აღმოჩნდა ჩვენში, რომ თავის ერის წარსული იცოდეს. ეს სრულებითაც არ მოასწავებს, თითქოს ჩვენ უნდა ვიაროთ წარსულის გზით. არა, ჩვენ უკვე შევდექით იმ გზაზე, რომლითაც განათლებული ერები მიდიან. წარსულის შესწავლა გვესაჭიროება ჩვენ აწმყოს შესაგნებათ და მომავლის გასათვალისწინებლათ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ თანამედროვე მეცნიერების დარგები, შევისწავლოთ ახალი მეთოდები; ეს საჭიროა მომავალ მასწავლებლებისათვის.

არა ნაკლებ საჭიროა სხვა ერთა ცნობა, მათი წარსულის, აწმყოს და მომავლის შესწავლა-გათვალისწინება. მეცნიერება არ არის ქართული, ფრანგული, ინგლისური. იგი ერთია. მხოლოდ ფორმა, სახე შეიძლება იყოს ეროვნული; მეცნიერება ამიტომ საუკეთესო იარაღია ხალხთა დაახლოვებისა. იგი რომ ეროვნული იყოს, მაშინ გაძნელდებოდა ხალხთა შორის კავშირისა და სოლიდარობის განმტკიცება. ამიერ კავკასიაში კი იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც შემოვლილი ჰქონდეს ეს მხარე. საჭიროა ერთმანეთის შესწავლა, პატივისცემა. თუ არ არის „შენ“, არ იქნება არც „მე“. რადგანაც არსებობს „მე“, მაშასადამე არსებობს „შენ“, არსებობს სხვა ერებიც. ქართულ უნივერსიტეტის დანიშნულება უნდა იყოს აგრეთვე ერთა შესწავლა. ეს მოგვცემს საშუალებას მტკიცე კალაპოტში ჩავაყენოთ ერთა ურთიერთობა.

მოქალაქენო! ნებას ვაძლევ ჩემს თავს მიულოცო პროფესორთა კოლეგიუმს. უნდა ვუთხრა მათ, რომ მათი გზა არ არის ყვავილებით მოფენილი, იგი ნარეკლიანია. ჩვენ გვაკლია მეცნიერული ძალები, შესაფერი მოწყობილობა, იარაღები. ამ მხრივ საქმის ადვილათ და დაჩქარებით მოწყობა შეუძლებელია. ეს უნდა გავითვალისწინოთ და ქართველმა ერმა უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ მცირე ჯგუფს არაფრისაგან ყველაფერის შექმნა არ შეუძლია. მე მწამს, რომ თქვენი (პროფესორთა) ენერგია, საქმისადმი სიყვარული და მტკიცე სურვილი შეგაძლებიებთ შეასრულოთ თქვენი მოვალეობა. ეს უნივერსიტეტი ქართული უნივერსიტეტია, მაგრამ იგი არ არის სახელმწიფოს უნივერსიტეტი. ქართველ ერს არა აქვს საჯარო უფლებებით აღჭურვილი ორგანოები. ქართული უნივერსიტეტი მაშინ იხეირებს, როცა ქართველ ერს ექნება ასეთი ორგანოები (ტაში).

ჩვენ ვდგევართ ქართველ ერის პოლიტიკურ განახლების კართან. შორს არ არის ის დრო, როცა ქართველი ერი სხვა ერებთან ერთად მიიღებს კანონიერ კმაყოფილებას. არის ერთად ერთი თავდები, რომ ქართველი ერი გადასჭრის ნაციონალურ საკითხს ისე, რომ მას მიიღებს სხვა ერებიც, იგი გაატარებს კანტის თქმულებას, სხვასაც ის უსურვე, რაც შენთვის გინდაო. ამის თავდებია ქართველი დემოკრატია (ტაში), და თუ ეს იმედი გაგვიცრუვდა, მაშინ, ვიტყოდი მე, ვაი ჩვენ... ქართველი ერი განიცდის საბედისწერო ჟამს. სულ ახლოს არის უფსკრული, სადაც შეიძლება იგი გადაიჩეხოს. ასეთ მდგომარეობაშია რუსეთის ყველა ერები. დღევანდელი ანარქია, სამოქალაქო ომი, უიმედობა მომასწავებელია იმის, რომ დადგება განკითხვის დღე. და ვფიქრობ, ქართული უნივერსიტეტის გახსნა სიმბოლური მოვლენაა. ჩვენ დღეს აქ ვზეიმობთ, ქართველი ერის ბედი კი განსაცდელშია. განსაცდელშია როგორც ობიექტიური ისე სუბიექტიური მიზეზების გამო. ჩვენ თითქოს გვაკლია თავის მდგომარეობის შეგნება. მე მესმის, როცა ვკითხულობთ ჩვენს ისტორიაში, ამა და ამ მეფემ თავის რაზმით შეუტია მტერს სამშობლოს დასაცავათ, მაგრამ მტერი ათჯერ მრავალრიცხოვანი და ძლიერი აღმოჩნდა და დაამარცხა იგიო. ასეთი მდგომარეობა მირჩევნია მე იმ მდგომარეობას, როცა ჩვენ არ გვაქვს წარმოდგენილი განსაცდელი. დამარცხება არ არის საშიში მაშინ, როცა ერს ესმის განსაცდელი. ხოლო თუ იგი მოულოდნელათ დამარცხდა, მაშინ დაემხობა კიდეც.

ქართული უნივერსიტეტის უწმინდესი მოვალეობაა ემსახუროს დემოკრატიის კანონიერ მოთხოვნილებებს, იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს. თუ წინათ ეროვნული კულტურა ვიწრო ჯგუფისათვის იყო ხელმისაწდომი, დღეს ეროვნული კულტურა მხოლოდ მაშინ არის ეროვნული, როცა მთელი ხალხისათვის ხელმისაწდომი გახდება. არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება. ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება დაეწაფოს მეცნიერებას. მეცნიერება უნდა იყოს დემოკრატიის დამცველი. დემოკრატიასა და მეცნიერებას შორის არსებული კავშირი უნდა იყოს დაცული ქართულ უნივერსიტეტში. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ქართულ უნივერსიტეტის ხელმძღვანელები პირნათლათ შეასრულებენ თავის წმინდა მოვალეობას. (ხანგრძლივი ტაში).

მქუხარე ოვაციებით შეხვდენ დამსწრენი უნივერსიტეტის რექტორის ბ. მელიქიშვილის გამოსვლას, რომელმაც ქართულ და რუსულ ენაზე წარმოსთქვა მოკლე სიტყვები და, სხვათა შორის შეეხო კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეს და აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება მეცნიერებას ამ სიმდიდრის შეს-

---

ეშმაკის მათრახი

ყოველ კვირეული სახუმარო ფურცელი.

ორიენტაცია

როგორც ბ-ნი ნიკო ნიკოლაძე სწერდა გაზეთ „საქართველოში“, სიტყვა „ორიენტაცია“ მხოლოდ თავისი გამოთქმით არის ახალი და არა შინაარსით. ქართველებმა ძველ დროშიაც ჩინებულათ იცოდენ ამ სიტყვის მნიშვნელობა, ვინაიდან იგი მათთვის თითქმის მუდამ აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა. გვქონდა ორიენტაცია აღმოსავლეთისა, დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა. ჯერ კარგათ გამოკვლეული არ არის მოგვეპოვებოდა თუ არა ორიენტაცია ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისა, ან სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისა.

ჩვენი წერილის უმთავრეს დანიშნულებას არ წარმოადგენს ქართულ ორიენტაციათა გამორკვევა წარსულში, არამედ მიზნათ გვაქვს გავარკვიოთ მნიშვნელობა აღნიშნული სიტყვისა, რომელიც ასე გიჟურათ შემოიჭრა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში.

გავარკვიოთ მაშ ჩვენი საგანი. რას ნიშნავს სიტყვა „ორიენტაცია“?

პირველ ყოვლისა საჭიროთ ვსცნობ მოგახსენოთ, რომ ეს სიტყვა ფრანგული ენიდან ნასესხებია, რომელ ენაზედაც „ორიენ“ ორ ენას როდი ნიშნავს, არამედ აღმოსავლეთს.

მოგეხსენებათ კერძო ცხოვრებაში (მგზავრობის დროს) გზა აბნეულმა ადამიანმა (თუ რასაკვირველია კომპასი დაეკარგა) აღმოსავლეთს უნდა მიაპყრას თვალი და როცა ამ უკანასკნელს გაითვალისწინებს, შემდეგ ადვილია სხვათა მხარეთა გარკვევა.

ასევე ხდება ერის ცხოვრებაშიაც. ისტორიული მსვლელობის დროს ერსაც ხშირად ებნევა გზა და საჭირო ხდება ახალი ორიენტაცია, ანუ, ახლად გზის გაკვლევა.

საქართველოს აი სწორეთ ეს მომენტი დაუდგა დღეს. ის არკვევს ახალ გზას და ამიტომაც მრავალი ორიენტაცია დაიბადა.

დღეს ჩვენა გვაქვს მთელი კოლექცია ორიენტაციებისა:

რუსეთის ორიენტაცია,
ოსმალეთის ორიენტაცია,
საფრანგეთის ორიენტაცია,
ინგლისის ორიენტაცია,
ამერიკის ორიენტაცია,
გერმანიის ორიენტაცია,
იაპონიის ორიენტაცია,
დონის ორიენტაცია,
უკრაინის ორიენტაცია,
ჩინეთის ორიენტაცია,
თერგის ორიენტაცია,
ყუბანის ორიენტაცია

და სხვა მრავალი ორიენტაციები. გამიგონია (აპ. წულაძისაგან) ფუტკარს თორმეტი ათასი თვალი აქვსო და რა გასაკვირია თუ ერს ასი და ორასი საორიენტაციო თვალი გამოაჩნდეს. ამგვარათ დღეს თვითეულ ქართველს თავისი საკუთარი ისტორიული ორიენტაცია აქვს, რითაც ნათლად მტკიცდება ქართველური ბუნების სიმდიდრე და მრავალფეროვანება.

ორიენტაციას კერძო ცხოვრებაშიაც ერთობ დიდი მნიშვნელობა და ხმარება აქვს. მოვიყვანოთ რამოდენიმე თვალსაჩინო მაგალითი.

ჩემს მეუღლეს, (ალათი მორცხვაძის ქალს) ქალიშვილობის დროს თოთხმეტი ორიენტაცია ჰქონდა. მე მათ შორის ვგონებ მეშვიდე ვიყავი. როდესაც მე ამ ორიენტაციათა ისტორიულ დოკუმენტებს ვეცნობოდი (მათი რიცხვი ერთობ დიდია) განცვიფრებაში მოვყავდი ასეთ მრავალფეროვნებას. ფოსტის მოხელე მარკოზ მარკიპარიაშვილი ერთი უმთავრესი მეტოქეთაგანი იყო ჩემი. მაღაზიის პატრონი გიორგა კუპატაძე იმით იპყრობდა ალათის ყურადღებას, რომ ზოგჯერ კოლოფით შაქრის ყინულებს უგზავნიდა. ერთი სიტყვით ალათი მორცხვაძის ქალს სრული თოთხმეტი ორიენტაცია ჰქონდა და ასეა თითქმის ყველა გასათხოვარი ქალი. ბედი საქართველოსი, (ე. ი. ახალი ორიენტაციის საჭიროება) კერძო ცხოვრებაშიაც ხშირია. მაგალითისვის მოვიყვან ბარბარე ოცნებაძის მაგალითს. მან უკვე მეშვიდე ქმარი მიატოვა, და ახლა მერვე ორიენტაციას ადგია

საინტერესოა ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ მაგალითს ორიენტაციისას. ეს გახლავთ სადილის ორიენტაცია. სამწუხაროდ, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც შეგვხვედრია მე და ჩემს მეგობარ ლასა ტრიაძეს ერთად სუფრასთან სხდომა. თითოეული დამსწრეთაგანი და მეც რასაკვირველია საკუთარ ორიენტაციას ვირჩევთ. როდესაც სუფრაზე ინდაურის საცივი სდგას, მე პირდაპირ იქით მივმართავ მხოლოდ გზას. ასე იქცევიან სხვებიც თავისი ორიენტაციის მიხედვით. მაგრამ ლასა ტრიაძე სულ სხვაა. მისი ორიენტაცია თანაბრად ვრცელდება მთელი სუფრის ტერიტორიაზე. ის არ არჩევს საცივსა და ბეჭს, წვნიანსა და უწვნოს, მოხარშულსა და მოხრაკულს. აგრეთვე ღვინის შესახებაც. მაშინ როცა მე მთელის ჩემის ენერგიით წითელი ღვინის ორიენტაციას მივსდევ, ჩემი მეგობარი ლასა ტრიაძე სრულიად არ არჩევს წითელს თეთრისაგან და უკავებს საერთოდ ღვინის ორიენტაციას.

ამით ვათავებ დღევანდელ წერილს და იმედი მაქვს მნიშვნელობა სიტყვა „ორიენტაცია“-სი საკმაოთ გავარკვიე.

ისტორიკოსი.

„ტერიტორიალური ავტონომია“

„ეშმაკის მათრახი“ დღეს იმავ მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიაც ჩვენი ძვირფასი სამშობლო ამ ასიოდ წლის წინათ გახლდათ. მის („ეშმაკის მათრახის“) წინაშე სრულის სიმშვილით დადგა „ყოფნა არ ყოფნის“ *) საკითხი. დამოუკიდებელსა და თავისუფალ არსებობას „ეშმაკის მათრახისას“ მრავალი საფრთხე გაუჩნდა და ამიტომაც საჭირო დარჩა რომელიმე ორიენტაციის არჩევა. ამ მიზნით ჯოჯოხეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს არა ერთი და ორი ღამე გაუთენებიათ კამათსა და მსჯელობაში. საით წავიდეთ? ვის შევეკედლოთ? აი უმთავრესი თავსატეხი საკითხი ჩვენი ბელადებისა.

როგორც ყოველ წვრილ ეროვნებათა შორის, აქაც მრავალი ორიენტაცია დაისვა დღიურ წესრიგში და როგორც მოსალოდნელი იყო გაიმარჯვა ამხანაგი ეშმაკის ტაქტიკამ. ჩვენი ჟურნალი გადაჭრით დაადგა „ერთობის“ ორიენტაციას. აღნიშნულ გაზეთში მან დაიჭირა განსაზღვრული ტერიტორია, რომელზედაც სარგებლობს სრული დამოუკიდებლობით.

ეს ტერიტორია მართალია არ შეესაბამება „ეშმაკის მათრახის“ სივრცეს და ახლო მომავალში მოგვიწევს „დრანგ ნახ ოსტენ“, მაგრამ დღეს-დღეობით თანამედროვე ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობების მიხედვით ჩვენ შევურიგდით უბრალო ტერიტორიალურ ავტონომიას „ერთობის“ ფარგლებში.

ტერიტორია „ეშმაკის მათრახისა“ იწყება მეორე გვერდის პირველი სვეტის დაბლა სტრიქონიდან და ამოდის ვიდრე მე-45 სტრიქონამდე ჩრდილოეთის სივრცისა. ეს მე-45 გრადუსის პარალელი წრე გადასჭრის მთელ მეორე გვერდს, გადავა მესამე გვერდზე და მიეჯინება აღნიშნული გვერდის მეექვსე სვეტს. ამგვარათ, აღნიშნულ ტერიტორიას შეადგენს 12 სვეტი. თვითოეული 45 სტრიქონის სიმაღლისა, ანუ უკეთ ვსთქვათ ტერიტორია, რომელზედაც თამამათ თავსდება 540 სტრიქონი.

დასახელებულ სივრცეზე „ეშმაკის მათრახს“ შეუძლია თავისუფლათ აწარმოვოს თავისი ეროვნულ-კულტურული საქმეები. მე მეტსაც ვიტყვი: თავის სამოქმედო ფარგლებში „ეშმაკის მათრახი“ სარგებლობს საკუთარი კანონმდებლობით, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ ზემორე ამის, ჩვენი კანონმდებლობა არ უნდა გადასცდეს საკუთარ ტერიტორიალური ფარგლის ინტერესებს და მეზობელ რესპუბლიკათა კომპეტენციის ზღუდეში არ შეიჭრეს.

მიუხედავათ ამ პოლიტიკური შეღავათებისა, ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკა სრულიადაც არა ჰკარგავს იმედს, რომ ახლო, თუ გვიან დადგება ისეთი ნეტარი დრო, როცა აღდგენილი იქნება „ეშმაკის მათრახის“ სრული დამოუკიდებლობა.

მაშ, გაუმარჯოს ერთა თვითგამორკვევას და უკონტრიბუციო ზავს!

ეშმაკი.

გუჯარი ეშმაკისა

თანამშრომლებს.

„ეშმაკის მათრახის“ მხნე თანამშრომელნო
ხალისი წერისა კვლავ შეგრჩათ რომელნო.
ჰა, ესე, ისმინეთ ეშმაკის გუჯარო,*)
არ ვარგა მოძმენო, სარდალი უჯარო.
შეჰკითხეთ, ვისაც გსურთ (კაცებს, გინდ ქალებსა)

---

*) ვკადნიერდები და საჭიროთ ვსთვლი განვმარტო, რომ სიტყვები „ყოფნა არ ყოფნა“ ჩვენ ისე არ გვესმის, როგორც ჩვენს უკვდავ მგოსანს სოლომონ ზურგილიძეს ესმოდა. ნეტარი მგოსანი ამ საბედისწერო სიტყვებს მარად ჟამს სადილის დროს გაიხსენებდა ხოლმე და როცა შეატყობდა საჭმელი საკმაოთ იყო, წარმოთქმას ინებებდა „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხი კარგათ არის, სანოვაგე გვეყოფაო.

*) დაბოლოება ლექსის კეთილხმოვანებისათვის არის შეცვლილი, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

წავლა-გამოყენების საქმეში. პროფ. ყიფშიძე შეეხო ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას. მისი სიტყვიდან გამოირკვა, რომ სტუდენტთა რიცხვი 400-ამდე ადის პრ. ივ. ჯავახიშვილს უნდა წაეკითხა ლექცია, მაგრამ, ვინაიდან ბევრი ხალხი დარბაზის გარეთ იყო დარჩენილი, თვით დარბაზში კი საჭირო წეს-რიგის დაცვა შეუძლებელი გახდა დამსწრეთა სიმრავლის გამო—ლექციის წაკითხვაც გადაიდო სხვა დროისთვის. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს წარმომადგენლებმა. პოლონელთა საბჭოს (პოლონურათ), ამიერ-კავკასიის მუსულმანთა ცენტრალურ კომიტეტის, სომეხთა ეროვნულ საბჭოს, სომხის ეპისკოპოსის (ქართულათ), რუსთა ეროვნულ საბჭოს დროებითი ბიუროს, სახალხო უნივერსიტეტის, დასავლეთ ამიერ-კავკასიის მუსულმანების და მუსულმანთა თფილისის კომიტეტის, სამოსწავლო კომისარიატის, ქალთა უმაღლეს კურსების, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის, კავკასიის მასწავლებელთა კავშირის, პოლონელთა საქველმოქმედო საზოგადოების, ქართველ კათოლიკეთა ჯგუფის, კავკასიის მუზეუმის, საგეოგრაფიო საზოგადოების, ბოტანიკური ბაღის, გაზ. „ფაიქარი"-ს, ქალთა უმაღლეს კურსების საისტორიო—საფილოლოგო ფაკულტეტის, მე-2 სავაჟო გიმნაზიის.

დროს უქონლობის გამო ქართულ დაწესებულებების წარმომადგენლებს არ მიეცათ მისალმების საშუალება. საერთო სურვილით, როგორც გამონაკლისი, სიტყვა მიეცა მუშა ვლასა მგელაძეს, რომელმაც მეტათ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. მოდით, ნახეთ—მიმართა მან პროფესორებს—თუ რა განძი, რა კულტურა შეინახა ქართველ ხალხმა. იმედია შემდეგში მეცნიერება არ იქნება ისეთი ყალბი, როგორიც იყო იგი საშუალო საუკუნოებში. ემსახურეთ ძმობა-ერთობის იდეას, მაშინ დააფასებენ თქვენს შრომას, მაშინ ჩვენც შემოვეკრებით თქვენს გარშემო. ქართველი ერი, ისტორიულ ქარტეხილში გამოვლილი არ მოკვდება. ამის თავდებია ის, რომ ჩვენ საუკეთესო მებრძოლნი მივეცით განმანთავისუფლებელ მოძრაობას. იმედია, ქართულ უნივერსიტეტის კარები არ იქნება დახშული დემოკრატიისათვის, მაშინ იგი ჩვენში იპოვის საუკეთესო დარაჯს. გაუმარჯოს ქართულ უნივერსიტეტს, თქვენს მობრძანებას და ამ შენობას, რომელიც ჩვენი ხელებით არის აშენებული!.. (ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ, აკაკი ჩხენკელი მიესალმა ქართულ უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორს პრ. ივ. ჯავახიშვილს და ღრმა მადლობა უძღვნა მას დიდი ამაგისათვის. კმაყოფილ საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშისცემითა და ოვაციებით დააჯილდოვა ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ უნივერსიტეტს.

(დეპეშები).

სოხუმი. სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი, განურჩევლად ეროვნებისა, აღტაცებით ულოცავს ქართველ ერს ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. გიგზავნით ფოსტით უნივერსიტეტის ფონდის გასაძლიერებლათ ხუთას მანეთს.

მონდობილობით **შალამბერიძე.**

ხონი. ხონის ყველა სასწავლებელთა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი, რომელსაც შემოუერთდა მრავალი ხალხიც, გამოსთქვამს თავის აუწერელ სიხარულს ეროვნულ მეცნიერების ტაძრის გეხსნის გამო და უსურვებს მას აყვავებას.

მიტინგის თავმჯდომარე **სერგო ბახტაძე.**

ალექსანდროპოლი. გუმბრის ფოსტა-ტელეგრაფის ქართველი მოხელენი აღტაცებით ვეგებებით ქართული უნივერსიტეტის გახსნას თფილისში. იმედი გვაქვს მოწინავე პირები ქართველი ერისა ენერგიულათ გაუძღვება ამ დიად ეროვნულ საქმეს და მით საბოლოოთ მოსპობს იმ ათასნაირ დაბრკოლებას, რომელსაც განიცდიან და გამოსცადეს ჩვენმა მოზარდმა თაობამ უცხო ქვეყნებში. ვილეთ ჩვენს წვლილს ფონდის გასაძლიერებლათ და მომავალშიაც ვეცდებით შეძლების დაგვარათ დახმარება გავუწიოთ ამ დიად სანატრელ ეროვნულ დაწესებულებას.

მოსეშვილი, ქორქია, გაბუნია, სიხარულიძე, ჯაფარიძე, ალიბეგაშვილი, გოძიშვილი, კოჩიაშვილი, ცომაია, ზარიძე, ტაბატაძე.

მიტინგი მთავარ სახელოსნოში

25 იანვარს მიტინგზე მიღებულ იქნა ხმის დიდი უმრავლესობით მენშევიკების მიერ წარდგენილი შემდეგი რეზოლიუცია:

„რკინის გზის მთავარ სახელოსნოთა მუშების მიტინგმა, მოისმინა რა შაუმიანის მოხსენება თემაზე „რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია კავკასიაში", სცნობს:

რომ რევოლიუციის ერთად ერთი ხსნა მდგომარეობს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაშლილ სრულიად რუსეთის დემოკრატიული ფრონტის მთლიანობის აღდგენაში;

რომ ამ მიზნისათვის საჭიროა ყველა ჭეშმარიტ-დემოკრატიულ და რევოლიუციონურ ძალთა შეკრება, რათა შეიქნეს ავტორიტეტული, რუსეთის უმრავლესობის მიერ ცნობილი ცენტრალური მთავრობა;

რომ ასეთ მთავრობის წყაროთ შეიძლება იქნეს მხოლოდ დამფუძნებელი კრება, რომელიც ეხლა გარეკილია სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შეკრებილი. მაგრამ, რადგანაც ანარქია და საერთო არევ-დარევა, რომელიც საფრთხეს უმზადებს რევოლიუციას ამიერ-კავკასიაში, ეხლავე ჩახრშობილ უნდა იქნეს, მიტინგი სრულიად სამართლიანათ სცნობს ამიერ-კავკასიის დამფუძნებელ კრების დეპუტატების გადაწყვეტილებას, რომლის თანახმათაც სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მოწვეულ იქნება ამ წლის 10 თებერვალს ამიერ-კავკასიის სეიმი; სეიმის შემადგენლობა დამფუძნებელ კრების დეპუტატთა რიცხვის სამჯერ გადიდებით შეივსება იმ პროპორციის მიხედვით, თუ რამდენი ხმა მიიღეს დამფ. კრების არჩევნებში მთავარმა პარტიებმა. სეიმის უპირველესი დანიშნულება იქნება მაგარი მთავრობის შედგენა და აგრარულ და სხვა გადაუდებელ რეფორმათა ცხოვრებაში გატარება. სეიმი ასეთი უფლებებით ისარგებლებს მანამდის, სანამ სრულიად რუსეთის დამფუძ. კრება შეიკრიბებოდეს. რაც შეეხება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, ისინი კიდევ უფრო უნდა გამაგრდენ, დარჩენ რევოლიუციის დარაჯათ და თვალყური ადევნონ სეიმის მოქმედებას. სხვადასხვა ნაციონალურ საბჭოებს უფლება აქვთ შეასრულონ მხოლოდ კულტურულ-განმანათლებელი როლი და არას შემთხვევაში—პოლიტიკური".

მიტინგის თავმჯდ. **მ. ძაგანაშვილი.**

ახალი ამბები

დღეს, დილის 10 ს., დანიშნულია საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელსაც აუცილებლათ უნდა დაესწრონ ყველა წევრები.

◆ დღეს, საღამოს 7 საათ., ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია საოლქო კომიტეტის, საკანტროლო კომისიის, თფილისის კომიტეტის, რაიონულ კოლექტივების, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრისა და ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციების წევრთა კრება. დღის წესრიგი: 1) ეროვნული საბჭოები; 2) ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭო.

◆ **კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის** მორიგი სხდომა მოხდა 26 იანვარს ჩემოდანოვის თავმჯდომარეობით. დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭოს შესახებ. საგანგებოთ არჩეულ კომისიის პროექტით, სანამ არსებობს ეროვნული საბჭოები, უნდა არსებობდეს ხსენებული სამხედრო საბჭოც, რომელიც განიხილავს მხოლოდ ტეხნიკურ კითხვებს; საბჭო არის დროებითი ორგანო და მისი გადაწყვეტილებანი წინასწარ უნდა გატარდეს სამხედრო კომისარიატში. კამათში მონაწილეობა მიიღეს ნოე რამიშვილმა და ვ. ჯუღელმა, რომელთა შორის მოხდა ინციდენტი. ვინაიდან სხვა საკითხების განხილვა ვერ მოასწრეს, ამ კითხვის შესახებ დადგენილების გამოტანაც გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, როცა, სხვათა შორის, გარჩეულ იქნება საკითხი ეროვნულ საბჭოთა შესახებ. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

◆ **გზათა კომისარის** ცნობით მოეწყო განსაკუთრებული კომისია სვიშჩევსკის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალება გამოარკვიოს ის მრავალგვარი გაუგებრობა, რომელსაც ალაგი ქონდა განჯის გუბერნიაში ადგილობრივ მცხოვრებთა და რკინის გზის დასაცავათ მოსულ რაზმებს შორის. კომისარი სთხოვს კომისარიატს გაგზავნოს კომისიაში თავისი წარმომადგენელი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება.** ახლო მომავალში ავლაბარში გაიხსნება სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება. ლექციებს წაიკითხავენ სომხურ და ქართულ ენებზედაც; ლექციები ყველასათვის ადვილი გასაგები იქნება და მოსასმენათ არავითარი წინასწარი მომზადება არ არის საჭირო. მეცადინეობის გეგმა საერთოთ ისეთივე იქნება როგორც ეს ცენტრალურ სახალხო უნივერსიტეტშია. ლექციები უფასოა. მსმენელებათ ჩაწერა ამ დღეებში შეიძლება, რაც ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ **სურსათი.** 26 და 27 იანვარს ბათუმიდან თფილისში შემოიტანეს: ფქვილი 2 ვაგონი, ხორბალი 2 ვაგონი, შვრია 2 ვაგონი და შაქარი 9 ვაგონი.

◆ **რუსეთის მისიის ცნობით სპარსეთში** სწარმოებს დიდი აგიტაცია გერმანიისა და ოსმალეთის მომხრეთა შორის სომხურ ნაციონალური პოლკების მოწყობის წინააღმდეგ. გამოჩენილ სომეხ მოღვაწეებს პროვინციაში მოსდით მრავალი ხელ მოუწერელი ბარათები, რომლებშიაც მათ სასტიკათ ემუქრებიან, თუ ისინი არ შეუშლიან ხელს ასეთი პოლკების მოწყობას.

◆ **შაქარზე აქციზის გაუქმების შესახებ.** „სოგორის" კავკასიის კომიტეტს განზრახული აქვს აღძრას კავკასიის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, შაქარზე დიდი გადასახადი უმთავრეს ნაწილათ მცხოვრებთა შეუძლო ნაწილს აწვება კისერზე. კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავა ამის შესახებ შეეკითხა ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქთა თვითმართველობებს. ბათუმისა და ქუთაისის ქალაქთა თვითმართველობებს დამოუკიდებლათაც აღუძრავთ მსგავსი შუამდგომლობანი. კავკასიის „სოგორმა" მიიღო ერივანის და ლანჩხუთის ქალ. საბჭოების გადაწყვეტილება, რომლის თანახმათაც აღნიშნული ქალაქები უერთდებიან მას. კავკასიის „სოგორმა" უარყო რუსულ ნაციონალურ საბჭოს ფინანსიურ კომისიის წინადადება უკანასკნელში თავის წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ. სრ. რუსეთის „სოგორის" ადერბეიჯანის რაიონის სალიკვიდაციო კ მისიის წევრმა, პოლკ. მდივანმა აღძრა შუამდგომლობა მისთვის 40 ვაგონის მიცემის შესახებ, რომელიც საჭიროა რაიონის გაუქმების შემდეგ დარჩენილ ქონებათა გადმოსაზიდავათ.

◆ **მოწოდება ქართველ ახალგაზრდობისადმი.** რეგულიარული ჯარი დაიქსაქსა, ფრონტს სტოვებს და ამიერ კავკასიიდან მიეშურება. მხარე ანარქიამ მოიცვა. საჭიროა ახალი ძალის შედგენა, რომელსაც შეეძლება იხსნას საქართველო და ამიერ კავკასია ანარქიისაგან. ორი კვირა იქნება ამ მიზნით მოეწყო ქართველ ახალგაზრდობისაგან შემდგარი ბათალიონი; მე-2 ქართველ დივიზიასთან არსებული სამოსწავლო ბათალიონი მოუწოდებს ქართულ ახალგაზრდობას, განსაკუთრებით სტუდენტებს და მოწაფეებს ჩაეწერონ ამ ბათალიონში. ჩაწერა შეიძლება მიხეილის პროსპექტზე ყოფილ სამხედრო სასწავლებელში.

◆ **მეოთხე რაიონის კოლექტივმა** 24 იანვრის კრებაზე მოისმინა მოხსენება რუსთა ნაციონალურ ყრილობის და თფილისში მუშათა სახლის აგების შესახებ და დაადგინა: მიიღოს მხედველობაში მოხსენება რუსთა ნაციონალურ ყრილობის შესახებ; მუშათა სახლის აგების საკითხი კი განიხილოს ახლობელ კრებაზე. კოლექტივმა იქონია აგრეთვე მსჯელობა ამიერ-კავკასიის ს.-დ. ორგანიზაციების ყრილობის შესახებ და გადაწყვიტა ყრილობის კითხვების გასარჩევათ და დელეგატების ასარჩევათ მოიწვიოს შაბათს, 27 იანვარს, რაიონის კრება. მოხსენების გასაკეთებლათ მოწვეულია ამ. კ. ჩხეიძე. თანახმათ ქალაქის სასურსათო კომიტეტის წინადადებისა კოლექტივმა დაადგინა: მოუწოდოს პარტიის წევრებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ბინის კომიტეტების მოწყობაში და მომავალ კრებაზე მოიწვიოს სასურსათო კომიტეტიდან ინსტრუქტორი ამ საკითხზე მოხსენების გასაკეთებლათ. განსვენებულ ამხ. წითელ გვარდიელის ოჯახის დასახმარებლათ კოლექტივმა დაადგინა მოუწოდოს პარტიის წევრებს გაიღონ თავიანთი წვლილი კოლექტივის კრებები მოხდება ოთხშაბათობით საღამოს სრულ 6 საათზე.

◆ **„არშინ მალ-ალან".** კვირას, 28 იანვარს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს სასარგებლოდ სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე ცნობილი ოპერეტკა „არშინ-მალ-ალან", დასაწყისი დილის თორმეტ ნახევარ საათზე.

◆ კვირას, 28 იან., დილის 10 საათ. საბურთალოს თეატრში დანიშნულია ჭოლა ლომთათიძის სახელობის ახალშენ-საბურთალოს უფასო სამკითხველო ბიბლიოთეკის გახსნა. აგრეთვე შესდგება თეატრის საზოგადოების კრება ახალ გამგეობის და სარევიზიო კომისიის ასარჩევათ.

◆ **სომეხ-მუსულმანთა ბიურო.** სომეხ-მუსულმანთა თათბირმა გადასწყვიტა სომეხ-მუსულმანთა პროვინციებში ანარქიასთან საბრძოლველათ შეადგინოს სომეხ-მუსულმანთა ბიურო 8 პირისაგან შემდგარი. ბიურო შესდგება ნაციონალურ საბჭოების წარმომადგენლებისაგან. ბიუროში შედიან კომისარები: მელიქ-ასლანოვი, კარჩიკიანი, ტერ-კაზარიანი, ბებუთოვი. აირჩიეს პრეზიდიუმი. უკანასკნელ კრებაზე ბიურომ გადასწყვიტა გაგზავნოს განჯის გუბერნიაში დელეგაცია 4 კაცისაგან შემდგარი, ორი სომხებიდან და ორი მუსულმანთაგან. დელეგაციაში შედიან: პაპაჯანოვი, ჯამალიანი, ხას-მამედოვი და ერთიც მუსულმანთა სოციალისტურ ფრაქციის წარმომადგენელი.

◆ **ევლახიდან იტყობინებიან:** რადგანაც ფქვილის მიცემაში უარი უთხრეს მოსამსახურეებს, ისინი სტოვებენ სადგურს და თფილისისაკენ მიდიან. სადგურის დარბევის შემდეგ დარჩა ფქვილი რომელიც ინახებოდა სადგურ უჯარაში. მოსამსახურეებმა მოითხოვეს ფქვილი, მაგრამ უარი უთხრეს. ამის გამო მუშები რჩებიან უპუროთ და უშაქროთ და დარჩენაზედაც უარს ამბობენ. თუ საჩქაროთ არ იქნა გამოგზავნილი ფქვილი თფილისიდან, იძულებული ვიქნებით სადგური დავხუროთ.

◆ **ოსური წარმოდგენა.** ხვალ, 29 იანვარს სახალხო სახლში სახ. სახლთან არსებულ ოსურ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ოსურ ენაზე: „ხაზბი", დრამა 3 მოქ. ბრიტაევისა. პირველ მოქმედებაში ოსური ცეკვა. დასაწყისი საღ. 7 საათზე. 18 იანვრისთვის აღებული ბილეთები გამოდგება ამ წარმოდგენისთვის.

კრებები და მიტინგები.

ხვალ, 29 იანვარს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის და ამავე რაიონის მცირე კოლექტივების წევრთა შეერთებული კრება. ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, დილის 10 საათზე, ავლაბრის საზამთრო კლუბის დარბაზში დანიშნულია მესამე რაიონის პარტიულ წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, 2) თფილისის კომიტეტი და 3) საოლქო ყრილობაზე გასაგზავნათ დელეგატების არჩევა.

— დღეს, დილის 11 ს., დანიშნულია რკინის გზის ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეთა კრება. ამხ. მ. ხუნდაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რევოლიუცია და მუშათა ორგანიზაციები".

— დღეს, დილის 10 საათ., სახალხო სახლში დანიშნულია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა; დღის წესრიგი: 1) მოხსენება ამიერ-კავკასიის სეიმის შესახებ, 2) მოხსენება ნაციონალურ საბჭოებზე.

რუსეთის ამბები

რუმინიას ომი არ გამოუცხადებია. ამას წინათ გაზეთებში პეტროგრადიდან მოსული დეპეშა მოათავსეს, თითქოს რუმინიამ რუსეთს ომი გამოუცხადა და უკვე დაიწყო სამხედრო მოქმედება ბესარაბიაში ჯარების გადმოყვანით, ცნობა იყო აგრეთვე მოთავსებული, რომ გენერალი შჩერბაჩოვი ბალშევიკურმა ჯარისკაცებმა მოკლეს. ყველა ეს ცნობები მოყვანილი იყო ბალშევიკურ წყაროებიდან. ეხლა ირკვევა, რომ ამის მგზავსი არაფერი არ მომხდარა; არც რუმინიას გამოუცხადებია ომი, შჩერბაჩოვიც ცოცხალია. რუმინიის ჯარი ბესარაბიისკენ წაიყვანეს იმიტომ, რომ უნდოდათ დაეცვათ რუმინიის საწყობები. შჩერბაჩოვის მაგიერ ვიღაც მისი მგზავსი პოლკ. ზვონარევი მოუკლავთ. მისმა ჯარმა უკვე ტირასპოლი და ბენდერი დაიჭირა.

დამფუძნებელი კრება

(დასასრული).

შემდეგ კითხულობენ ბალშევიკების დეკლარაციას, რომელიც ჩვენ გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი.

შტეინბერგი. (მემარცხენე ს.-რევოლიუციონერი) ჩვენ გვეგონა, რომ დამფუძნებელი კრება მთელი ქვეყნის წინაშე გამოაჩენდა თავის ნამდვილ სოციალურ და პოლიტიკურ სახეს, მაგრამ მან ვერ გაბედა საბჭოების მთავრობის წინააღმდეგ წასვლა და პირდაპირი პასუხი არ მოგვეცა როგორ უყურებს ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პროგრამას. ჩვენ კიდევ ერთხელ მოგმართავთ და გეტყვით: თქვენ მემარჯვენე უმრავლესობა ეტყვით ხალხს, რომ თქვენც ისეთივე პროგრამა გაქვთ, როგორიც ჩვენ, მხოლოდ მარტო ფორმალურ მიზეზების გამო არ განიხილეთ ჩვენი პროგრამა, ჩვენ არ გვინდა ეს იარაღი მოგცეთ ხელში და კატეგორიულათ გიცხადებთ მიიღოთ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დეკლარაციის ის ნაწილი, რომელიც ზავის პოლიტიკას ეხება. ჩვენ აშკარათ გეუბნებით: თუ თქვენ მხარს უჭერთ საბჭოს მთავრობას, თქვენ ვერ გაბედავთ დეკლარაციის ამ მუხლის წინააღმდეგ წასვლას. ეს მუხლი ეხლავე უხმოთ უნდა მიიღოთ, კომისიებში გადაცემა ზედმეტია. ხოლო უკეთუ ამაზე უარი სთქვით ხალხისთვის აშკარა იქნება, რომ თქვენ უარს ამბობთ მშრომელ ხალხს ამოუდგეთ გვერდში და მასთან ერთათ გადასწყვიტოთ ყველა საჭირბოროტო საკითხები.

რიგს გარეშე განცხადებას აკეთებს ს.-რევოლიუციონერი **ილიაშევიჩი**, რომელიც წინადადებას იძლევა უკამათოთ მიიღონ მოკავშირეებისადმი ნოტა, სამშვიდობო მოლაპარაკების დელეგაციის არჩევის შესახებ დადგენილება და მიწების შესახებ დეკრეტი.

სუნჩულიაევი მუსულმანთა ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ თუმცა მუსულმანთა სოციალისტური ფრაქცია სახალხო კომისარების მიერ გადადგმულ ნაბიჯს და მათ მიერ მიღებულ ზომებს ზავის ჩამოსაგდებათ ვერ სცნობენ დამაკმაყოფილებლათ და მან სასურველი შედეგები ვერ მოგვიტანა ჯერ, მაგრამ მაინც მხარს უჭერენ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის რეზოლიუციას.

სელიამი (ესტონელთა მშრომელ ჯგუფის წევრი) ამბობს, რომ ესტონელმა ხალხმა იცის, რომ ესტონელთა სახელმწიფოებრივ წესწყობილების შესახებ რეფერენდუმის მოხდენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა გერმანელთა ჯარები დასტოვებენ ესტონელთა მიწა-წყალს. ესტონელები კატეგორიულათ უარს ამბობენ დაიწყონ სეპარატიული მოლაპარაკება გერმანიის იმპერატორთან და პროტესტს აცხადებს გამოჰყონ ესტონიიდან კუნძულები ეზელი, დაგო და მოონი. ესტონელები მოითხოვენ კუნძულების საკითხი ესტონეთის ნაციონალურმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასჭრას, რომელიც მოწვეული იქნება არა უგვიანეს 15 თებერვლისა.

შემდეგ ლაპარაკობენ ნაციონალურ

—რომ დღეს ჩვენ ვეყრდნობით ფიზიკურ ძალებსა.
თუ კვალად არ შეკრბა ის მტკიცე რაზმები,
ვინც კალმით, მახვილით, გვყვა შენაკაზმები,
და მტერს არ ეჩვენა უძლეველ ძალადა,
მერწმუნეთ, გავხდებით სხვის მაჩანჩალადა.
დე, კარგათ ასწონოს ძალთ განწყობილება,
ვისაც სურს, ეშმაკთან კვლავ დაძმობილება.
მომენტი დიდია და გულის სალხენი,
სად ნახეთ, მოძმენო, თქვენ გვამნი ამდენი,
ეშმაკის საქმესა და გზებზე მავალნი?
სად ნახეთ, ან როდის თქვენ ეგზომ მრავალნი?
დღეს ქურდი ქურდზე ზის და ქურდი მიუძღვის,
არ ვიცით რათ ჰპარავს, რას ჰპარავს, ვინ ან ვის!
დღეს ყოველ ჯიბეში სიკვდილი ბინადრობს
არ ვიცით ვინ ვის კლავს და ჩქმებს ვინ აძრობს.
დღეს ყველა... მაგრამ რა! ეს ხომ არ დასრულდა
ეშმაკის ოცნება სავსებით აღსრულდა.
მაშ მჭიდროთ რაზმები, მათრახი მტკიცეთა,
და ღირსი ვინც შეგხვდეთ ნუ ზოგავთ, სტკიცეთა.
საქვეყნო მიზანი თუ ითხოვს მხილებას
ალაგი არ ექნეს მამიდაშვილობას.
განსაჯეთ ნუ არჩევთ გარეულს, შინასა
(ხომ იცით მოყვასთაც ასმევენ ქინასა).
განსაჯეთ მკაფიოთ, მოკლედ და მკვეთრადა
შავს შავი ეწოდოს, თეთრი სჩნდეს თეთრადა.

მაღალი, უხვი, მდაბალი **ეშმაკი I.**

პირდაპირი მავთულით*)

პოლიტიკურ ვითარებათა გართულების გამო, ჩვენი რედაქტორი, ამხ. ეშმაკი, პირდაპირი მავთულით ელაპარაკა ამხ. მასიკოს ქ. ტყემლიანში.

ქ. თფილისი. აპარატთან ზის ამხ ეშმაკი.

ქ. ტყემლიანი. აპარატთან ზის ამხ. მასიკო.

ეშმაკი. გამარჯობა ამხ. მასიკო.

მასიკო. გაგიმარჯოს, მეგობარო.

ეშმაკი. როგორა ხარ, კაცო? აგერ მთელი თვენახევარი გადის შენგან არავითარი ცნობა არ მოგვსვლია.

მასიკო. გმადლობ, ამხანაგო, ყურადღებისათვის, გახლავარ შენი ჭირიმე, გვარიანათ. მიკვირს ჩემი წერილი სად დაიკარგა. თვეზე მეტი იქნება, რაც გამოგიგზავნე წერილთან ერთად ერთი ნაჭერი შაში, ორი ყველი, ხუთი გირვანქა სიმინდის ფქვილი და ერთი ბოთლი ტყემალი. ფოშტის საქმე პირდაპირ არეულია.

ეშმაკი. არ მიმიღია. ალბათ რომელიმე ფოსტის მოხელეს სჭირდებოდა აღნიშნული სანოვაგე და გზაში რეკვიზიცია უქნა. არა უშავს რა. შენი ჭირი**) წაუღია.

მასიკო. ჩირი მე არ გამომიგზავნია.

ეშმაკი. მე ჩირი არ მითქვამს. აპარატმა დაამახინჯა. ოჯახობა როგორა გყავს?

მასიკო. არა უშავს. მხოლოდ პატარა ტოლუს კუჭი აქვს აშლილი.

ეშმაკი. შეკრულია?

მასიკო. არა.

ეშმაკი. ფაღარათია?

მასიკო. არა.

ეშმაკი. მაშ რა ჯანდაბაა?

მასიკო. ისეა მოშლილი.

ეშმაკი. არა უშავს რა. გამხნევდი. მთელი სახელმწიფო მოშლილია. ბავშვის კუჭს კიდევ გაუძლებს კაცი.

მასიკო. მე ჩემი ბავშვის კუჭი მირჩევნია მთელ სახელმწიფოს.

ეშმაკი. გამხნევდი, ჩემო კარგო, ფეხები თფილ წყალში ჩააწყობიე და მაგავე საჭმელს ნუ მისცემ. მშვიდობით.

მასიკო. მივიღებ მხედველობაში. მშვიდობით.

---

*) უბრალო მკითხველისათვის საჭიროა განმარტება, რომ პირდაპირი მართულით განსაკუთრებულ საყურადღებო მომენტებში სარგებლობენ. წარა-მარა პირდაპირი მართულით ლაპარაკი ნება დართული არ არის.

**) საუბედუროთ ტელეგრაფში ჯერ ნაციონალიზაცია არ მომხდარა და ქართულ სიტყვებს ტელეგრაფი რუსულათ ამახინჯებს.

პატარა ფელეტონი

კამათი.

ადამიანის ნაწილებს
მოუხდათ ერთხელ კამათი,
და რადგან მომენტს დღევანდელს
უდგება ბჭობა ამათი,
მსურს მოგახსენოთ, რაც ითქვა,
იქ აზრი ორატორების,
(სიმართლეს ვამბობ უტყუარს
სიტყვაც არ მომეჭორების).
ფეხებმა იწყეს ტრაბახი,
(მათ მუდამ ასე სჩვევია!)
—ჩვენს ზურგზე ზიხართ ოხრებო,
წელი ვერ აგვიწევია,
აღმა და დაღმა გატარებთ
მუხლი ვერ გაგვიმართავსო,
რაცა ვართ ჩვენ ვართ ოჯახში,
თუ გვათქმევინებთ მართალსო".

რაღა თქმა უნდა, ხელებმა
ეს ლექსი იუკადრისეს
და შესაფერი ამასი
ფეხებს პასუხიც აღირსეს:
—რომ ბაქი-ბუქობთ, რას ამბობთ
ფეხებო, ნეტავ თქვენაო?
განა არ იცით ვის აწევს
კისრად ოჯახის რჩენაო?
ჩვენ ვშრომობთ დღიან-ღამიან
ჩვენა ვმკით, ვთესავთ, ვჭედავთო
და საკვირველი საქმეა
ჩვენთან რო ტრაბახს ბედავთო.
აქ ენამც გაირაკუნა:
—აბა რას ბოდავთ თქვენაო,
ჩემდენი შრომა ვის აწევს
ჩემდენი ტანჯვა, წყენაო.
ჯერ სიტყვა ითქმის და შემდეგ
იქნებ დაიწყონ საქმეო
და ტრაბახს თქვენსას რო ვისმენ
სიცილით ვკვდები აქ მეო.
კუჭმა სთქვა:—ილაპარაკეთ,
ენას არ უძევს ძვალიო,
ავი დრო დადგა, აღარ გვაქვს
წესი და სამართალიო.
თორემ შრომაზე თუ მიდგა
ვინ შემედრება კუჭსაო
ან, რა ფასი აქვს თქვენს ტრაბახს
ფუქსავატურს და ფუქსაო.
გული გაცხარდა საშინლათ
და ბრძანა:—სტყუით თქვენაო,
ფეხიც აჭარბებს და ხელიც
ყველაზე მეტად ენაო.
დღითით ჩანჩალებთ, ღამე კი
წამოწვებით და ღვრინავთო
მაგრამ ტრაბახზე რომ მივა
გაბოროტებით ღრინავთო.
მე დღე და ღამე ვმუშაობ,
არ ვიცი მოსვენებაო
და თქვენში პირველობისა
ნუ თუ არა მაქვს ნებაო!
ტვინმა სთქვა დარბაისლურათ:
(ინტელიგენტი კაცია)
— ჩემით სულდგმულობს ეგ თქვენი
საბრალო კორპორაცია.
მე ვაწარმოებ ტაქტიკას,
აზრსა ვქმნი, გონივრულსაო.
მე ვამოძრავებ ხელს, ფეხებს
გულს, ფილტვებს, თვალს, თუ ყურსაო
და არად აგდებთ, ბრიყვებო,
თქვენ ამდენ სამსახურსაო??
თვალმაც სთქვა მისი სათქმელი,
ფილტვებმაც, ცხვირმაც, ყურმაცა
და ბაძიობამ ოჯახი
სრულიად დააქუცმაცა.

———

სხვაც მეგულვება, მკითხველნო,
მე ჩვენში ორგანოები:
აქ ვალიკო ზის, იქ პეტრე,
იქ კიდევ სხედან ნოები.
და თუ (გვიხსენი განგებავ!)
საქმე წავიდა ბაძითა,
წითელი დროშის სანაცვლოდ
სჯობს შევიმოსოთ ძაძითა.

მოჩიელი.

სოციალიზმი, ანუ კლასთა მოსპობა

ბალშევიკი ივანე სემიჩკაჭამიაშვილი, ასე ვსთქვათ, ბუნებრივი სოციალისტია. საკმარისია მას ყურში ჩასცდეს რაიმე აზრი, რომ მყისვე ჩაჭერილი იქნას მეხსიერების მუხრუჭით.

მე ივანე სემიჩკაჭამიაშვილი ძლიერ მიყვარს და არა მარტო იმიტომ, რომ ის ბალშევიკია; მიყვარს უფრო იმისთვის, რომ ღრმა აზრებს უბრალო გასაგებ ფორმებში ასხამს. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შეხედულება სოციალიზმის შესახებ.

— სოციალიზმი გულისხმობს კლასთა მოსპობას.

— ეს როგორ, ამხანაგო, მოკრძალებით ვეკითხები ივანე სემიჩკაჭამიაშვილს.

— როგორ და სრულიათ უბრალოთ. დემოკრატია ამოსწყვეტს ბურჟუაზიას, პროლეტარიატი—დემოკრატიას, ხოლო თვით პროლეტარები ერთმანეთს ამოსწყვეტენ. ამგვარათ მოისპობა სხვადასხვა კლასები და დამყარდება ქვეყნათ სოციალიზმი.

Просто и ясно. **ლაჩი.**

ფოსტა

თანამშრომლებს. „ეშმაკის მათრახი" შემდეგშიაც ამ სახით გამოვა. როგორც ხედავთ ვიწრო ფარგლებში მოეწყო ჩვენი მოღვაწეობა. ამიტომ თითოეული თანამშრომელი, რომელსაც სურს ჟურნალში მონაწილეობის მიღება ვალდებულია პირობებს შეეფარდოს. გრძელი წერილების ალაგას უნდა დაიწეროს მოკლე, სხარტული მოხსენებები. ორში ერთმა, არ ვიცი სოლომონმა, არ ვიცი შოთამ კარგა ხანია სთქვა: „გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის, შაირია ამად კარგიო", ამგვარათ დღევანდელი ჩვენი ფურცელისათვის საჭირო მასალა პირდაპირ ღია ბარათებზედ შეიძლება დაიწეროს და გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Елизаветинская 132 кв. 6. Н. Каландадзе.

თედორე თარგამაძეს. ჩვენმა რედაქციამ მიიღო თქვენგან 8 მან. და 40 კაპ. ჟურნალის ნახევარი წლის ფასად. ვინაიდან „ეშმაკის მათრახი", როგორც ცალკე გამოცემა აღარ არსებობს, კეთილ ინებეთ და გვაცნობეთ რა დანიშნულება მივცეთ ამ ფულს.

ჯგუფების წარმომადგენელნი გოლდმანი და ლვოვიჩი.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოვიდა წინადადება არ დახუროს კრება, სანამ ზავისა და მიწის შესახებ საკითხი არ გადაწყდება და ამასთან ამ საკითხების გადასაწყვეტათ მოახდინოს სახელობით კენჭის ყრა.

ყველა ეს წინადადება კრებამ მიიღო და შეუდგა მიწის შესახებ ძირითად კანონის პროექტის განხილვას. ამ დროს სიტყვას თხოულობს რიგს გარეშე განცხადებისთვის მემარცხენე ს.-რევოლიუციონერი კარელინი.

კარელინი—აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრება არ არის მშრომელი ხალხის ინტერესების გამომხატველი, ამიტომ მემარცხენე ს.-რევოლიუციონერების მონაწილეობა იქნება დამფუძნებელ კრების უმრავლესობის ცოდვების გაზიარება. ამიტომ ჩვენ მივდივართ ამ კრებიდან და მთელი ჩვენი ძალ-ღონე გადაგვაქვს საბჭოთა დაწესებულებებში, რომლებიც მთელი თავის სიძლიერით მშრომელთა კლასის სასარგებლოთ მოქმედებს.

ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ჩერნოვი განაგრძობს მიწის შესახებ კანონის პროექტის კითხვას. მასთან მოულოდნელათ მიდის მეზღვაური, მხარზე ხელს ადებს და ეუბნება:

— მე მივიღე ინსტრუქცია მოგახსენოთ, რომ ყველა დამსწრეებმა დარბაზი დასტოვონ, რადგან მცველები დაიღალენ.

ჩერნოვი—რის ინსტრუქცია? ვისგან?

მეზღვაური—მე ვარ თავრიდის სასახლის მცველთა უფროსი და ინსტრუქცია მაქვს კომისარისაგან.

ჩერნოვი—დამფუძნებელ კრების ყველა წევრები ძლიერ დაიღალენ, მაგრამ არავითარ დაღალვას არ შეუძლია შეაწყვეტინოს მიწის შესახებ იმ კანონის გამოქვეყნება, რომელსაც მთელი რუსეთი ელის (საზოგადოება საშინელ ხმაურობას იწყებს. ყვირიან („კმარა, კმარა“!)

ჩერნოვი განაგრძობს: დამფუძნებელი კრება დაიშლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ძალას იხმარებენ.

მეზღვაური. მე გთხოვთ დასტოვოთ სხდომის დარბაზი.

ჩერნოვი წინადადება შემოვიდა უკამათოთ მივიღოთ მიწის შესახებ ძირითად კანონის წაკითხული ნაწილი, დანარჩენი კომისიაში გადავსცეთ და კრება შევსწყვიტოთ.

წინადადებას კენჭი უყარეს და მიიღეს.

ჩერნოვი. თქვენ მიიღეთ მიწის შესახებ ძირითადი დებულებები, გთხოვთ მიიღოთ მთელი განათლებული ქვეყნებისადმი მიმართვა სტოკჰოლმში სოციალისტურ კონფერენციის მოწვევის შესახებ; წინადადებას კენჭის ყრით ღებულობენ, აგრეთვე ზავის დელეგაციის არჩევის მოკავშირეებთან მიმართვის და სხვათა შესახებ.

— წინადადებას გაძლევთ, განაგრძობს ჩერნოვი, დანიშნოთ შემდეგი კრება 6 იანვრისთვის დღის 12 საათზე. წინადადება შემოდის კრება 5 საათზე დაინიშნოს. კენჭის ყრით უკანასკნელ წინადადებას ღებულობენ.

4 საათზე და 40 წუთზე ჩერნოვი აცხადებს: დამფუძნებელ კრების სხდომას ვხურავ. დეპუტატები საჩქაროთ გადიან დარბაზიდან.

რაც მოხდა ამის შემდეგ უკვე ვიცით. დამფუძნებელი კრება გარეკეს და გამოსვლის დროს ზოგიერთ დეპუტატებს შეურაცყოფაც კი მიაყენეს. ერთ მეზღვაურს უნდოდა წერეთელი და ჩერნოვი მოეკლა, მაუზერი იძრო და დაუმიზნა, მაგრამ მეორე მეზღვაურმა ხელიდან გააგდებინა.

რუსები ყარაიაზის რაიონში

როგორც უკვე აღვნიშნე წინა წერილში, სოფ. ვოიეკოვის აოხრების მიზეზის გამოსარკვევათ საჭიროთ ვსცანით მოვეწვია რუსთა და თათრის სოფლების ამორჩეული კაცები. ამ ამორჩეულ პირთაგან შესდგა შერეული სასამართლო მაზრის კომისარ ასათიანის თავმჯდომარეობით. სულ ცამეტი კაცი შედიოდა ამ სასამართლოში. სასამართლომ გადასწყვიტა საქმის განხილვამდე დაეთვალიერებია სოფ. ვოიეკოვო. სოფელში ჩვენი თვალით ვნახეთ ის უბედურება, რომელიც ამ სოფელს დაატყდა. მთელს სოფელს ეტყო ნიშანი დაუნდობელ მტრის შემოსევისა; სახლები იწოდა, ზოგიერთი მიწასთან იყო გასწორებული და დანარჩენი დანგრეული, გაოხრებული; ქუჩა მოფენილი იყო ბამბით, პურით, ქერით და კარტოფილით. იატაკი და ჭერები განგებ დაჭრილ-დაჩეხილი, შუშები ჩამტვრეული, სახლის ღობეები აყრილი და ყველა ეს ნახევარზე მეტი წაუღებელი იყო. ეს არ იყო უბრალო შემოსევა იმ მოსაზრებით, რომ სხვის ნაწევ ნადაგით, სხვის ნაოფლარით გამდიდრებულიყვენ. ეს იყო შედეგი იმ განწყობილების, რომელიც სუფევდა თათრებსა და რუსებს შორის: ეს მოვლენა იყო ის ქარ-ცეცხლი, რომელიც აუცილებლათ უნდა დასტეხოდა რუსის სოფლებს მცხოვრებთა მიზეზით; ეს იყო ნახევრათ ველურ თათრებისათვის ის საშუალება, რომლითაც მათ შეეძლოთ სამაგიერო გადაეხადათ რუსებისათვის წლობით მათ გულში მოგროვილი გაბოროტების გრძნობები. ძველი მთავრობის დროს თათრებს ეშინოდათ და ახლა ისარგებლეს ანარქიით და გადუხადეს, როგორც მათ ესმით, სამაგიერო, თუმცა ყველასთვის ცხადია, რომ ასეთი მოვლენა ხელ საყრელია მხოლოდ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებისათვის. გასამტყუნარია ჩვენის ფიქრით, არა რუსი გლეხკაცობა, არამედ რუსი ნაციის ინტელიგენცია და კერძოთ ყარაიაზის ინციდენტში კი თათრების ინტელიგენცია, რომლებმაც არამც თუ არ მიიღეს საერთოდ ზომები ასეთ მოვლენების ასაცდენათ, არამედ საქმის გამოსარკვევათაც კი არც ერთი კაცი არ მოგვაწოდეს თუმცა ყველამ კარგათ იცოდა, თუ ასეთ კაცს რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. ყარაიაზის ამბები მაჩვენებელია იმის, თუ რა ნაყოფი გამოიღო ძველი მთავრობის პოლიტიკამ, მხოლოდ სამსჯავროს გადაწყვეტილება გვითითებს იმაზე, თუ რამდენათ საჭიროა არა სჯა-ბაასი, არა პარტიულ და მოქალაქობრივი ომი, არამედ შექმნა ძალის და ისეთი ძალის, რომელსაც შეეძლება აიცდინოს თავიდან ასეთი ომის ქარ-ცეცხლი და კალაპოტში ჩააყენოს ცხოვრება; მეტად მინდა მივმართო იმ ჯგუფებს, რომლებმაც მზა-მზარეულზე თავები წამოყვეს და აურ-ზაურის მეტი ცხოვრებაში არაფერი არ შეიტანეს.

ძველი მთავრობის პოლიტიკის დასახასიათებლათ და ამ პოლიტიკით გამოწვეულ უბედურების გასათვალისწინებლათ მოვიყვან მოკლეთ ამხ. ზოდელავას მიერ წარმოთქმულ სიტყვას შერეულ სამსჯავროში საქმის გამორკვევის დროს. პრინციპიალურად მიღებული იყო ის აზრი, რომ თათრის სოფლებს გადაეხადნათ ვოიეკოველებისათვის ის ზარალი, რომელიც მათ განიცადეს ამ აოხრებით, მხოლოდ ამხ. ზოდელავას სიტყვის შემდეგ დავინახეთ თუ რამდენად ფრთხილად უნდა მოვკიდებოდით საქმეს. ამხ. ზოდელავა პირველათ შეეხო სახალხო სამსჯავროს მოვალეობას: სახალხო სამსჯავრომ უნდა გაითვალისწინოს, რომ იგი არის სამჯავრო სინდისიერი და მიუდგომელი. სამსჯავრო არ უნდა დაკმაყოფილდეს ფაქტების შეკრებით; ის არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო ფაქტების აწონ დაწონით, არამედ მან უნდა გამოიკვლიოს მიზეზი ამ ფაქტების წარმოშობისა; უნდა ნათლად გაითვალისწინოს ის ცხოვრება, რომელმაც ეს ფაქტები დაბადა და გასაჯოს არა ის, ვინც ეს ფაქტი განახორციელა, არამედ ის მთავრობა, რომელმაც თავის პოლიტიკით შექმნა ნიადაგი ამ ფაქტების წარმოშობისა. ჩვენ თვალწინ გვიდგია შემდეგი ფაქტი: სოფ. ნაზარლომ შეატყობინა ვოიეკოვოს, რომ შიხლელები აპირებენ თავზე დასხმასო; დაალაგეს თავის ურმებზე მათი ბარგი და ისარგებლეს რა ალიაქოთით, გაიტაცეს დადებული ურმები სახლებისკენ. ეს მოვლენა იყო არა უბრალო მოვლენა არამედ გამოწვეული ცხოვრებით. მესამოცე წლებში, რუსეთის მთავრობის ბრმა პოლიტიკამ წარმოშვა ეგრედ წოდებული ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება საქართველოში და გამოისტუმრა ყარაიაზის რაიონში. ეს საზოგადოება დიდი სახელის შირმით აფარებული გამოემგზავრა ყარაიაზისკენ და იმის მაგივრათ რომ ჩამორჩენილი მხარე დაეწინაურებინა, აქედან გადახვეწილი სხვა მხარეს ქართველი მუსულმანები დაებრუნებინა უკან, ეს საზოგადოება შეუდგა ამ მხარის გარუსებას და აქ მცხოვრებ თათრების შეწუხება-შევიწროებას. როგორც წინა წერილში მქონდა აღნიშნული, მთელი ამ რაიონის მცხოვრებნი ეწევიან საქონლის ყოლას და ეს მეჯოგეობა არის მათი ცხოვრების წყარო. როგორც იმავე მეორე წერილში ვსთქვი სიცხისგან გადამწვარ მინდვრებიდან თათრები საქონელს ერეკებოდენ ტყეში და იქ აძოვებდენ, სანამ მთაში თოვლს აიღებდა. მაგრამ ჩვენ რას ვხედავთ. იმის მაგიერ, რომ მთავრობას ხელი შეეწყო მეჯოგეობისთვის და არ დაეშალა ასეთ გაჭირების დროს საქონლის ტყეში ძოვება, ის ნელ-ნელა აძევებს ამ ტყიდან თათრებს და ჰფარგლავს ტყეს, რომ კაბინეტში უსაქმურობას თავი დააღწიონ და ამ ტყეში ნადირობით დრო გაატაროს ეს მთავრობა სრულებით ყურს არ უგდებდა და არც ენაღვლებოდა, თუ რომ თავის გართობას ანაცვლებდა მთელი ხალხის ბედ-იღბალს, როგორც ვიცით დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ თავის კავკასიის მართველობის დროს შემოფარგლა ტყე, დააყენა მცველები და გამართა სანადირო ალაგები. ასეთი შემოფარგლული ალაგი დიდი მთავრის მოადგილეების ხელში მიდიოდა ზომით ზოგჯერ 30,000 დესიატინამდის; ოფიციალურად აკრძალული იყო ამ ტყიდან შეშის გამოტანა და საქონლის ძოვება, თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ შეშაც გაჰქონდათ თათრობას და მალვით საქონელსაც აძოვებდენ. აქედან შეგვიძლიან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ მთავრობა თავის ბრძანებით ჰბადავდა თათრებში მექრთამეობას, მოტყუებას და ქურდობის ინსტიქტს.

ვინ ჰყავდათ თათრებს მიმშველი; ვის შეეძლო გამოსულიყო ამ ხალხის პირობების დასაცველად: ის იმ წამსვე დასჯილ-დატუსაღებული იქნებოდა. ასეთი ამბავი ხდებოდა ჭალა-ტყეში, იმ ჭალა-ტყეში, რომელსაც შეეძლო თავის საბალახოთ გადაეწყვიტნა თათრების ცხოვრების ბედ-იღბალი. რა ხდებოდა ამავე დროს მინდვრათ?

ამ რაიონში რუსები ჩამოსახლდენ იმ პირობით, რომ თითო მამაკაცზე უნდა მიეღოთ ექვსი დღიური მიწა, სულ ერთია, რამდენი მამაკაციც უნდა ყოფილიყო ოჯახში. ამავე დროს თათრის ოჯახი იღებდა მხოლოდ ათ დღიურს იმისდა მიუხედავათ, თუ რამდენი სული იყო ოჯახში; ჩვენ კი ვიცით, რომ თათრის ოჯახი ხშირათ ძლიერ დიდია, რადგან იშვიათათ იყრებიან. ამან გამოიწვია ის, რომ უმეტესი წილი მიწისა, შედარებით, ჩაუვარდათ რუსებს, და თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ტყის სანადირო ალაგების გარდა შესდგა კიდევ „სწორე ნადირობის საზოგადოება“, რომელმაც მთავრობისგან ჩაიგდო აუარებელი საძოვარი ალაგი და იქ არავის უშვებდა, მაშინ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ძველი მთავრობის უპასუხისმგებლო მოქცევამ სულ მთლათ შეაწუხა და სული შეუხუთა ამ რაიონის მკვიდრ მცხოვრებთ და გაათამამა და ფრთა აუსხა თავის მიკერძვით მოსულ რუსებს. განა ასეთი სულის შეხუთვა არ იყო ის მიზეზი, რამაც თათრობა მიიყვანა ქურდბაცლობამდის; განა მთავრობა ხელის შეწყობის მაგიერ თითონ არ ბადავდა ცხოვრება გასჭირებოდა თათრობას და ცხოვრება გაჭირვებულს მიემართა ყველა საშუალებისათვის შეერჩინა ეს ცხოვრება და ბოლოს ეს საშუალება ჩვეულებათ გადაქცეოდა. განა თითონ მთავრობა არ უგროვებდა თათრობას რუსების ჯავრს გულში თავის რუსებისკენ მიკედლებით? ყარაიაზის რაიონის რუსების მიერ მთავრობის მიკედლებით და პოლიტიკით სარგებლობამ გამოიწვია მათივე აოხრება-აწიოკება.

რომ მსაჯულობის დაწვრილებით მსვლელობაზე არ დავკარგოთ ამ წერილში ბევრი დრო და ალაგი, მინდა აღვნიშნო აქ მხოლოდ კიდევ ის რომ, ასეთი მოვლენა, რა მოვლენამაც მიიღო ბოლოს და ბოლოს მასიური ხასიათი, არ შეიძლება მიეწეროს შემთხვევითი მოვლენას, არამედ ეს არის ძალით შეგუბებული ჭირ-ვარამი და ასეთ არა-სასურველ მოვლენათა თავზე ასაცდენათ საჭიროა ნაციის ინტელიგენციის მიერ ზნეობრივი გავლენა; რაც შეეხება, თუ როგორ მოეკიდა ყარაიაზის თათრობა სამსჯავროს გადაწყვეტილებას და რის მომასწავებელია ასეთი მოქცევა, ამაზე დაწვრილებით გავჩერდები შემდეგ წერილში.

დიონ. გ—ძე.

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 25 იანვარს შესდგა თფილისის რ. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება კომიტეტიდან, კოლექტივისა და მცირე კოლექტივის წევრთა შეერთებული კრების მოწვევა, პრეზიდიუმისა, კულტურულ-განმანათლებელ და ტეხნიკურ კომისიის არჩევა, არა ჩვეულებრივი საზოგადო კრების მოწვევა და სხვ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, თფილისის კომიტეტის დადგენილების თანახმად, რუსული გაზ. „ბორბა“, რომელიც ახლო მომავალში გამოვა, უნდა იმყოფებოდეს პარტიის გავლენისა და მფარველობის ქვეშ, რისთვისაც თითეული პარტიული ამხანაგი ვალდებულია ამ გაზეთს ხელი შეუწყოს გავრცელებით და მატერიალური დახმარებით. კომიტეტს რუსთა ნაციონალურ საბჭოში მონაწილეობის მიღება საჭიროთ უცვნია, მხოლოდ რაც შეეხება საერთოთ ნაციონალურ საბჭოებს, კომიტეტის დადგენილებით ისინი უნდა გარდიქმნენ ნაციონალურ კულტურულ-განმანათლებელ კომისიებათ. მეორე რაიონის მიერ მცირე კოლექტ. გამომუშავებული ინსტრუქცია კომიტეტს გადაუცია განსაკუთრებულ კომისიისათვის გადასათვალიერებლად.

კრებამ დაადგინა: ორშაბათს, 29 იანვარს, საღამოს 5 საათზე, მოიწვიოს მცირე კოლექტივების შეერთებული კრება, მხოლოდ ხუთშაბათს, 1 თებერვალს, საღამოს 5 საათზე კი არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. ფოსტის წარმომადგენელის განცხადების შესახებ, რომ ზოგიერთ იქაურ მოსამსახურეს სურვილი აქვთ ჩაეწერონ წითელ გვარდიაში, კრებამ წინადადება მისცა მას შეადგინოს მსურველ, საიმედო პირთა, სია და წარადგინოს იქ, სადაც საჭიროა.

გაზეთ „ბორბას“ ინიციატორთა ჯგუფის თხოვნა,—გამოგზავნონ მათ კრებაზე ერთ-ერთი წარმომადგენელიო,—კრებამ ამ სხდომაზე დასწრება დაავალა ამხ. ი. ხელაძეს.

დასასრულ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, ტეხნიკური და კულტურულ-განმანათლებელი კომისიები. პრეზიდიუმში შედიან: ამხ. ა. ნაცვალოვი, მინად. ტოროშელიძე, ილ. გოგელია და თედ. ხუხუნაიშვილი.

კულტურულ-განმანათლებელ კომ.: ამხ. მინ. ტოროშელიძე, ივ. ხელაძე, ასათიანი, ი. გოგელია, შაპირო, კიტიაშვილი, თ. ხუხუნაიშვილი, უმბრიევი, ლომიძე და ღლონტი.

ტეხნიკურ კომისიაში: ამხ. გ. თევდორაშვილი, ლეჟავა და ბედინაშვილი.

თედ. ხუხუნაიშვილი.

—

19 იანვარს შესდგა თფილისის ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირის კომიტეტში რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის „იაჩეიკების“ კრება. კრებას 188 წევრიდან 150 წევრი დაესწრო. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენებები, ბალშევიკების მოქმედება სადგურში, ქვეკოლექტივის არჩევნები, პროფესიონალურ კავშირის კომიტეტების გამოცვლა და ახლების არჩევა. მოხსენება გააკეთა ამხ. გრიგოლ ცინცაბაძემ, რომელმაც მოახსენა კრებას 6 იანვარს მომხდარი ამბები აღმოსავლეთ რკინის გზაზე, თუ რა დატრიალდა მის თვალის წინ და მასთან ერთად აფხაზავას მოქმედება. განმარტა დღევანდელი ჩვენი მოქმედება და მდგომარეობა თუ რა უბედურებას მოველით ფრონტების დაცლით—მოუწოდა ყველას შეგნებულად შეხვდენ მომავალ მობილიზაციას. შემდეგ მოხსენება გააკეთა ანხ. ბერძენიშვილმა და სთქვა, რომ ბალშევიკებმა ხიშტის ძალით ჩაიგდეს ხელში პეტროგრადში მთელი ძალა-უფლება.. უღალატეს დემ. პრინციპს, რადგანაც მეორეჯერ გარეკეს ხალხის ნდობით აღჭურვილი დამფუძნებელი კრება. მოგვისპეს სიტყვის და კრების თავისუფლება. აღარა სწამთ პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობა. დასასრულ ის მიესალმა ამიერ-კავკასიის კომისარიატს და ჩვენს ბელადს ნოე ჟორდანიას.

კრებამ გადასწყვიტა გამოეცხადოს ბალშევიკებს, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმა მავნებელი იქნება, როგორც ჩვენთვის, ისე მათი ფრაქციისთვის, მხოლოდ კომიტეტის რომელიმე წევრს ექნეს ნება დაესწროს მათ კრებას განსაკუთრებული მიზნით, რომელიც გააბათილებს მათ ბრუდე ნაბიჯს. მასთან იქნას არჩეული კომისია, რომელიც გამოიძიებს მათ მოქმედებას და გაზეთის საშუალებით გააცნობს საზოგადოებას მათ არა სწორ ნაბიჯს. შემდეგ ლაპარაკობს წითელ რაზმელი, დიმ. ლუკ. ჟღენტი, რომელიც მოუწოდებს დამსწრე საზოგადოებას, რომ ფხიზელ დარაჯათ დაუდგენ თავისუფლების გამაგრებას და თვალ-ყური ადევნონ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს თფილისში. კოლექტივის წევრი ამხ. ბერძნიშვილი, რომელიც აცნობს კრებას კოლექტივის დადგენილებას, სადაც აღნუსხავს მობილიზაციის საჭიროებას, რომელიც მიიღო საოლქო ცენტრმაც. მასთან აცნობს სხვა საჭირო კითხვებსაც, მან აუხსნა კრებას, რომ ჩვენ შევდგებით 200 წევრისაგან და უკვე ნებართვაც გვაქვს ეგრეთ წოდებული ქვეკოლექტივის. კვირა-უქმეების მუშაობის შესახებ—მუშას ეძლევა ორმაგი ჯამაგირი, მასთან ამ მოკლე დროში გამოვა წიგნაკები, რომლითაც მივიღებთ სურსათს, სანამ ფული არ დარიგებულა; ბალშევიკების გამოსვლა და მოქმედება კრებამ ერთხმათ დაგმო და დაადგინა არ იქნას არც ერთი ბალშევიკი არავითარ თანამდებობაზე მიღებული. ქვეკოლექტივის არჩევა ერთხმათ მიიღო კრებამ. ქვეკოლექტივში აირჩიეს: ბერძენიშვილი, თავბერიძე, ორმოცაძე, მახარაძე, კალანდაძე, ჭკუასელი და ცინცაძე. კავშირში:—იოს. ბერძენიშვილი, ი. ასამბაძე, სამს. კალანდაძე და გრ. ცინცაბაძე. საგამომძიებლო და სარევიზიო კომისიაში არჩეულნი იქნენ: ჭკუასელი, ორმოცაძე, ჩიგოგიძე.

საშა კრისტინეშვილი.

მუშათა შორის

თფილისი. სამი თვის წინად თამბაქოზე მომუშავე მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობაში შემოიტანეს განცხადება უმუშევარ მუშებმა, რომელნიც დათხოვნილი იყვენ ქარხნიდან გაფიცვისათვის და რომელნიც ადმინისტრატიული წესით იყვენ ძველი მთავრობის მიერ გადასახლებული კავკასიის მიდამოებიდან, როგორც პოლიტიკური არა კეთილ საიმედონი. განცხადებაში უმუშევარი მუშები სთხოვენ კავშირის გამგეობას მისცეს მათ თავიანთი ძველი ალაგები. კავშირის გამგეობამ წინადადება მისცა ქარხნების პატრონებს, მიეღოთ ეს უმუშევარი მუშები თავიანთ ძველ ალაგებზე. ორი თვის დუმილის შემდეგ ქარხნის პატრონებმა წერილით განუცხადეს კავშირის გამგეობას, რომ არ შეუძლიათ მიიღონ ისინი თავიანთ ძველ ალაგებზე. ამის გამო 23 იანვარს შესდგა კრება კავშირის გამგეობისა და ყველა მუშათა დელეგატების ქარხნის დელეგატთა. კრებამ დაადგინა: გაეგზავნათ სია ამ უმუშავარ მუშებისა ყველა ქარხნის მუშათა კომიტეტებს დასადასტურებლათ, თუ ეს ზემოხსენებული მუშები მართლა იყვენ დათხოვნილი გაფიცვისათვის ქარხნიდან, იყვენ თუ არა პოლიტიკურ არა კეთილ საიმედო პირებათ ცნობილი და ამისათვის გადასახლებულნი და არიან ეხლა სადმე სამუშაოზე თუ არა? ამ საქმის გამორკვევის შემდეგ კავშირის გამგეობას სრული იმედი აქვს მჭიდრო ორგანიზაციული შეგნებულ მუშებისა, რომ კავშირის გამგეობის შეთანხმებით აიძულებენ ქარხნის პატრონებს მიიღონ ეს წმინდა იდეალებისათვის დატანჯული უმუშევარი ამხანაგები.

კავშირის მდივანი ალფესი ხელაძე.

პროვინცია

სოფ. ორაგვე (გურია). 22 იანვარს დილით უცბათ ასტყდა ზარის რეკა. ხალხმა საჩქაროთ თავი მოიყარა. საზოგადოება ძლიერ დაინტერესებული იყო, თუ რა იყო მიზეზი საჩქარო კრებისა. დაიწყო კრება. აირჩიეს თავმჯდომარე, რომელმაც აუწყა კრებას, რომ კომისიამ ხალ. ურუშაძის დაფნის ქურდი აღმოაჩინა და ქურდიც აქვე არისო. საზოგადოების აღშფოთებას და გაკვირებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც კომისიამ წამოაყენა მათ წინ ჯუმათის მონასტრის ბერი ივანე გოგუა. ბერი იქვე გამოტყდა ქურდობაში. ისმოდა ხმები გავკრიჭოთ ბერი და ისე გაუშვათ მონასტერშიო! ქურდი ბერი დაჩოქებით სთხოვდა კრებას იქვე გაესამართლებია, მაგრამ კრებამ მისი თხოვნა არ შეიწყნარა. იქონია რა მსჯელობა, კრებამ დაადგინა: გადაეცეს ქურდი ბერი ჯუმათის საზოგადოებას დეე, თვით ჯუმათის საზოგადოებამ გაასამართლოს იქაური ქურდი. და დაზარალებული ხალ. ურუშაძე დააკმაყოფილოსო. მხოლოდ უკანასკნელმა განაცხადა დაფნის ფული მოხმარდეს ორაგვის საზოგადო საქმესო.

ტ. იმ—ხა.

—

ქ. ახალ-სენაკში 20 იანვარს ღამით ვიღაც შანტაჟისტმა ცეცხლი წაუკიდა გიმნაზიის შენობას. ცეცხლი პირველათ ვიღაც ბაზრის დარაჯმა შეამჩნია და ყვირილი მორთო. ყვირილზე ჯარისკაცები მოცვივდნენ და თოფი გაისროლეს. ხმაურობაზე მოაწყდა შენობას ყოველი მხრიდან ადგილობრივი მცხოვრებნი, სკოლის დირექცია და მოწაფეები. შენობა თუმცა გადაარჩინეს, მაგრამ ზარალი ბევრია: არა ნაკლებ 12.000 მანეთისა.

ს. მ—ძე.

—

ს. ქროლი (შორაპ. მაზრა). 6 იანვარს შესდგა საზოგადო კრება ს. ქროლში კოოპერატივის გამგეობის ასარჩევათ. აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ აქაური მცხოვრებნი ძალიან შეგნებულათ შეხვდა ასეთ დაწესებულების დაარსებას, ადგილობრივმა ინტელიგენტებმა გააცვნეს დამსწრე საზოგადოებას კოოპერატივის მნიშვნელობა. შემდეგ ერთხმათ იქნენ არჩეულნი გამგეობის წევრებათ: სეფე დევდარიანი, ტ. მაქაძე, ი. დევდარიანი, მათ კანდიდატებათ: სპ. დევდარიანი და კოწია დევდარიანი. სარევიზიო კომისიის წევრებად: ამბროსი ჭიპაშვილი, გრ. დევდარიანი და პ. დევდარიანი. მათ კანდიდატებათ: გ. დევდარიანი და პ. ჩუბინიძე. ვუსურვებ ამ პირებს გამართლებით საზოგადოების იმედი.

ხანდეველი.

—

ს. შუა და ზემო. ამაღლება (გურია). 11 იანვარს მოხდა შუა და ზემო ამაღლების მომხმარებელი საზოგადოება „სარგებლობა“-ს წლიური საზოგადო კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება გამგეობის და სარევიზიო კომისიის, მოსაგების განაწილება, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. გამგეობის სახელით მოხსენება გააკეთა ლუკა ჭყონიამ და სარევიზიო კომისიის ევტიხი კობიძემ. გამოირკვა შემდეგი:

აქტივი. ნაღდი ფული კასაში 4358 მ. 3 კ., საქონელი დუქანში 13901 მ. 75 კ., კავშირებში შეტანილი საწევრო 859 მ., ქონება (ინვენტარი) 586 მ. 8 კ., ნისია 2182 მან. 3 კ., გასესხებული 2561 მან. ბალანსი 24,447 მ. 89 კ.

პასივი. ვალი 15,902 მ. 67 კ., საპაიო და საწევრო 5237 მ. 15 კ., წმიდა მოგება 3308 მ. 7 კ. ბალანსი 24,447 მ. 89 კ.

1916 წლის განმავლობაში გადაბრუნებულა საქონელი 68,421 მ. 18 კ. წმინდა ხარჯები 5708 მან. 2 კაპ. მოსაგები 3308 მ. 7 კ. კრება ამტკიცებს ზემო მოყვანილ ანგარიშს და მადლობას უცხადებს როგორც გამგეობას, ისე სარევიზიო კომისიის წევრებს. მოსაგები 3308მ. 7 კ. კრებამ გაანაწილა შემდეგნაირათ: გამგეობა და სარევიზიო კომისია დააჯილდოვა 500 მ., ნოქრები 300 მ., ადგილობრივი სკოლისთვის გადასდო 500 მ., ადგილობრივი სამკითხველოსთვის 300 მ., ამაღლების უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლისთვის 500 მ., შუა და ზემო ამაღლების დროშისთვის 108 მ. 7 კ., სათადარიგო თანხისთვის 100 მ. და ძირითად თანხას შემატა 1000 მ. გამგეობაში ფარული კენჭის ყრით იქნა არჩეული: ლუკა ჭყონია, სეფე სიხარულიძე, ევტიხი კობიძე, თედორე დოლიძე, მღ. ეპიფანე ჯიბლაძე. მათ კანდიდატებათ: ანტონ ჯიბლაძე, ლევანტი სიხარულიძე და ნოე ყაჭიეშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებათ არჩეულ იქნა: ვამეხი ყაჭიეშვილი, კოწია ჯიბუტი და ხალამპრე ყაჭიეშვილი.

ჭინჭარი.

ექიმი ნ. მ. მეხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი პ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
გ. დონხინი
ყოფილ ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ჩვენი ხალხის საყურადღებოთ
ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ

მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

საქართ. კოოპერატ. საყურადღებოთ

საქართველოს ეროვნული საბჭოს თაოსნობით 2 თებერვალს თფილისის გუბერნიაში (ქუთაისის გუბერნიის და ბათომის მიდამოების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული) მოწვეულია ყოველგვარ ტიპის (საკრედიტო, მწარმოებელი, გამსაღებელი და მომხმარებელი) **კოოპერატივების შეერთებული სამაზრო ყრილობა.** ყრილობას უნდა დაესწროს თვითეულ კოოპერატივის, სარაიონო, სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო და ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირების თითო წარმომადგენელი (შეიძლება მეტიც). განსახილველი საგანია: 1) საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიური დახმარების აღმოჩენა, 2) საზოგადოდ კოოპერატივების მონაწილეობა ხალხში ფინანსიურ ორგანიზაციების შესაქმნელად ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ. კრებები მოხდება ყველგან 2 **თებერვალს**, ყველგან დილის სრულს 11 საათზე და დაესწრება თფილისიდან საქ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი: **გორის მაზრის კრება** ქალაქ გორში საკრებულოს დარბაზში. **ზაქათალის და სიღნაღის** სიღნაღში ქართულ დარბაზში. **თელავის და თიანეთის** თელავში შემნახველ გამსესხებელი ამხ. **ახალციხე-ახალქალაქის** ახალციხეში კოოპ. „მესხეთში“. **თფილისის** თფილისში ეროვნულ საბჭოში. **დუშეთის** დუშეთში საკრებულოში. კრების გადადება შეუძლებელია. საბჭოს სექციის მოწოდება ყველა კოოპერატივს დაეგზავნა ფოსტით. თუ ფოსტის მიზეზის გამო რომელიმე კოოპერატივმა არ მიიღო მოწოდების ფურცელი, კოოპერატივებმა უნდა იხელმძღვანელონ გაზეთში მოთავსებულ განცხადებითაც და თავისი წარმომადგენელი უეჭველად გაგზავნონ კრებაზე დანიშნულ დროს და ადგილს.

(7—4) **ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.**

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.